პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 148 (11152) | შაბათი, 1 ივლისი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.


დ ღ ე ს ნ ო მ ე რ შ ი ა:


ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო პოლ რეინო (1-ლი გვერდი).

საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელთა წარმატება (1-ლი გვერდი).

მეტალურგის დღის შესახვედრად. — ლ. ლოლაძე. — ფეროშენადნობთა ქარხანაში (1-ლი გვერდი).

პირველი თაღოვანი კაშხალი რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პირველი სესია (1-ლი გვერდი).

საბჭოთა ახალგაზრდობის დიდი დღესასწაული (1-ლი გვერდი).

საბჭოთა მთავრობის საპროტესტო ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი (მე-2 გვერდი).

შ. ჭანუყვაძე. — ქართველ და უკრაინელ კოლმეურნეთა ძმური შეჯიბრების სახელოვანი ოცი წლისთავი (მე-2 გვერდი).

გ. ზუკაკიშვილი. — საჭიროა მეტი ორგანიზებულობა (მე-2 გვერდი).

ა. ბეშიძე. — კომკავშირული კოლმეურნეობა ნაყოფიერად მუშაობს (მე-2 გვერდი).

მომხმარებელს უხვად მივაწოდოთ მაღალხარისხოვანი საქონელი (მე-3 გვერდი).

ხ. ქორღაძე. — [illegible] (მე-3 გვერდი).

თბილისის 1500 [illegible]

ხ. იორამაშვილი. — [illegible] კლუბი (მე-3 გვერდი).

მ. ხვადაძე. — მავნე გადმონაშთების წინააღმდეგ (მე-3 გვერდი).

ა. ყიფიანი. — საქართველოს ცეკვის ანსამბლი—იტალიის ქალაქებში (მე-4 გვერდი).

სპორტის ამბები (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).


## გავაფართოოთ კულტურული ვაჭრობა, გულისხმიერად მოვემსახუროთ მომხმარებელს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა თანმიმდევრული განხორციელების შედეგად ჩვენი ქვეყნის მრეწველობა და სოფლის მეურნეობა წლითი-წლობით ზრდიან სახალხო მოხმარების საქონლის, სასურსათო პროდუქტების წარმოებას, ვითარდება საბჭოთა ვაჭრობა. ამ დღეებში ჩატარებულმა სსრ კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა მეხუთე ყრილობამ ნათელყო, თუ უკანასკნელ წლებში როგორ გაუმჯობესდა კოოპერაციული ვაჭრობა, სავაჭრო და დამამზადებელი აპარატების მუშაობა, ხალხის მატერიალური კეთილდღეობისათვის ზრუნვა. ამ დიდი მუშაობის მაღალი შეფასება იყო სსრ კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის ლენინის ორდენით დაჯილდოება.

ჩვენს რესპუბლიკაში ვაჭრობის განვითარების საქმეში მოპოვებულია გარკვეული წარმატებები. სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ორგანიზაციები გადაჭარბებით ასრულებენ საქონელბრუნვის გეგმებს. მიმდინარე წლის ხუთ თვეში გეგმის გადამეტებით რეალიზებულია 65 მილიონი მანეთის ღირებულების საქონელი.

მთელ რიგ სავაჭრო ორგანიზაციებში წარმატებით ინერგება თვითმომსახურების, პროდუქტების დაფასოებულად გაყიდვის, საქონლის ღია გამოფენით, უსალაროებოდ ვაჭრობის მეთოდები. რაც ზრდის მოქმედი ქსელის გამტარუნარიანობას, საშუალებას აძლევს მომხმარებელს დაზოგოს საქონლის შეძენაზე საჭირო დრო, ამაღლებს ვაჭრობის მუშაკთა შრომის ნაყოფიერებას.

ვაჭრობის ახალი მეთოდების ეკონომიური ეფექტი ნათლად ჩანს თბილისის უნივერმაღის მუშაობის გამოცდილებიდან. საქონლის ღია გამოფენის, უგამყიდველო ვაჭრობის, გამყიდველთა სამუშაო ადგილის სწორად განაწილების, სალაროების გაუქმების შედეგად უნივერმაღის კოლექტივმა საქონელბრუნვა თითქმის ორჯერ გაადიდა.

საქონელბრუნვის გეგმების შესრულებაში, მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესებაში მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ მცხეთის რაიკავშირი, გორის რაიონის სოფელ მეჯვრისხევის და მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების კოოპერატივები.

მაგრამ რესპუბლიკის სავაჭრო ქსელში ბევრი სერიოზული ნაკლია, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს. სავაჭრო ქსელის გაფართოება ჩამორჩება საქონელბრუნვის ზრდის ტემპს. სახელმწიფო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტები ძალიან ცოტაა მუშათა რაიონებში, დაბებში, ქალაქების განაპირა უბნებში. საბურთალოს რაიონში, სადაც ფართოდ ხორციელდება საბინაო მშენებლობა, სავაჭრო ობიექტების მოწყობის საქმე თითქმის მივიწყებულია. ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს, ქალაქებში ახალ შენობათა პირველი სართულები, როგორც წესი, უნდა დაეთმოს საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატებს, სახელმწიფო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტებს.

სავაჭრო ორგანიზაციებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს იმისათვის, რომ მომზადებული შეხვედროდნენ გაზაფხულის სეზონს, მაგრამ, როგორც ფაქტები მოწმობს, საზაფხულო ვაჭრობაში გარღვევებიც არის. მაღაზიებში იშვიათად იშოვნება საზაფხულო ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, რომლებზეც მომხმარებელი დიდ მოთხოვნილებას აყენებს.

მკვეთრად უნდა გაუმჯობესდეს მუშათა კვების საქმე. თბილისის, ქუთაისის, რუსთავის ზოგიერთ სამრეწველო საწარმოთა მუშები სავაჭრო ორგანიზაციების დაუდევრობის, უპასუხისმგებლობის შედეგად უნოყიერო, უგემური კერძებით იკვებებიან. სასადილოები ცუდად მარაგდება პროდუქტებით, განსაკუთრებით თევზეულით, ბოსტნეულით. სოფლებში უნდა გავაფართოოთ სასადილოების, საჩაიეების, პურის საცხობების ქსელი. საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესების ინტერესები მოითხოვს, რომ სასადილოებთან მოეწყოს დამხმარე მეურნეობები, სადაც გაზრდიან ფრინველს, ღორს, მოიყვანენ ბოსტნეულს.

გადაჭრით უნდა გავაძლიეროთ ბრძოლა სავაჭრო ქსელში მოკალათებული გამომძალველების, კომბინატორების წინააღმდეგ. ახლახან თბილისის სასურსათო მაღაზიებში მასობრივად გამოვლინდა კარაქის, ყველის, ძეხვის, თევზის ზედმეტ ფასებში გაყიდვის ფაქტები. ეს იმას მოწმობს, რომ სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, სარევიზიო აპარატი სავაჭრო ობიექტებისადმი მკაცრ კონტროლს არ ახორციელებენ. სავაჭრო ქსელში არსებული დამახინჯებების, გამოძალვის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი როლის შესრულება შეუძლია საზოგადოებრივ კონტროლს.

დაუცხრომლად უნდა ვიზრუნოთ მაღალკვალიფიციური კადრებით სავაჭრო ორგანიზაციების განმტკიცებისათვის. შეუწყნარებელია ის ფაქტი, რომ რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციებში უმაღლესი განათლების პირები მხოლოდ 2,8 პროცენტს შეადგენენ და მათი უმრავლესობაც არაშესაფერის სამუშაოებზეა გამოყენებული.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებანი ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარების შესახებ უფართოეს ჰორიზონტს შლიან სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებისათვის. წარმატებით რომ გავართვათ თავი საქონლის მზარდი ნაკადის რეალიზაციას, საჭიროა არა მარტო მაღაზიების, პავილიონების, სასადილოების, კაფეების, რესტორანების ფართო ქსელი, არამედ, რაც მთავარია, აუცილებელია გვყავდეს ვაჭრობის კულტურული მუშაკები, რომლებმაც იციან საქმე და გრძნობენ პასუხისმგებლობას.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა სავაჭრო ორგანიზაციებს სერიოზულ ამოცანებს უსახავენ მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის შემდგომი ამაღლებისათვის ბრძოლაში, სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნილებების სრულად დაკმაყოფილების საქმეში. ვაჭრობის მუშაკები დაუღალავად უნდა იბრძოდნენ ამ ამოცანების შესრულებისათვის.

## ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო პოლ რეინო

28 ივნისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო საბჭოთა კავშირში მყოფი საფრანგეთის თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე პოლ რეინო.

ნ. ს. ხრუშჩოვსა და პოლ რეინოს შორის მოხდა აზრთა გაზიარება ბევრ საკითხზე.

## საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელთა წარმატება

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულმა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, გააჩაღეს რა სოციალისტური შეჯიბრება სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის, შეასრულეს რძის, ხორცისა და მატყლის დამზადებისა და შესყიდვის ნახევარი წლის გეგმები.

წელს სახელმწიფოს ჩაბარდა და მიეყიდა 5,6 ათასი ტონით მეტი რძე, 790 ტონით მეტი ხორცი და 720 ცენტნერით მეტი მატყლი, ვიდრე 1957 წლის პირველ ნახევარში.

ასევე წარმატებით სრულდება მიმდინარე წელს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფისა და ჩაბარების გეგმა. სახელმწიფოს ჩაბარდა 10,8 ათასი ტონით მეტი ჩაის ფოთოლი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

*მეტალურგის დღის შესახვედრად*

## ფეროშენადნობთა ქარხანაში

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში ენერგიულად ემზადებიან მეტალურგის დღის შესახვედრად. 500-ზე მეტი მეტალურგი შრომითს ვახტზე დგას და ყოველდღიურ დავალებას გადაჭარბებით ასრულებს. ქარხანამ 8 დღით ადრე, 23 ივნისისათვის შეასრულა ექვსი თვის გეგმა. დაზოგილია 4,5 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია. წარმატებით მუშაობს პირველი საამქროს კოლექტივი (საამქროს უფროსი მ. რაზმაძე), რომელმაც პროდუქციის გამოშვების ხუთთვენახევრის დავალება 105,9 პროცენტით შეასრულა. ხუთთვენახევრის დავალება 107,8 პროცენტით შეასრულა მეორე საამქრომ (საამქროს უფროსი შ. თედოზაშვილი).

ქარხანაში დაწინაურდა პირველი საამქროს მეექვსე ღუმელის კოლექტივი (ბრიგადირები შ. დადუნაშვილი, ს. კვინიკაძე, ბ. გამეზარდაშვილი), რომელმაც ხუთთვენახევრის დავალება 106 პროცენტით შეასრულა. აღსანიშნავია, რომ მარტო ამ ღუმელზე დაზოგილია მილიონ კილოვატსაათზე მეტი ელექტროენერგია.

მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვეს ღუმელების ბრიგადებმა, რომლებსაც გ. კვეტენაძე, ვ. ხუჯაძე, ი. ჯუღელი, ა. მშვენიერაძე, ო. პყოიძე, ზ. ფერაძე, გ. გუმბერიძე ხელმძღვანელობენ.

ქარხნის წარმატებებში სერიოზული წვლილი შეაქვთ რაციონალიზატორებს. წელს ქარხანაში შემოსულია 41 რაციონალიზატორული წინადადება, აქედან უკვე დაინერგა 17 წინადადება, რის შედეგადაც დაზოგილია 197 ათასი მანეთი.

მეტალურგების წინაშე ახალ დიდ ამოცანებს აყენებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებები. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ბაზაზე შესაძლებელია განვითარდეს ქიმიური წარმოება. დნობის შედეგად გამოყოფილი გაზი ძვირფას ნედლეულს წარმოადგენს პლასტიკური მასის წარმოებისათვის. აღნიშნული გაზი შესაძლებელია დაჭერილ იქნას დახურული ღუმელების მოწყობით.

ქარხნის კოლექტივისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის, ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკების პირველმა ცდებმა დახურულ ელექტროღუმელებში დნობის განხორციელებისათვის, რომლებსაც დოცენტი გ. მიქელაძე ხელმძღვანელობდა, კარგი შედეგი გამოიღო. გათვალისწინებულია, რომ წლის ბოლომდე ქარხნის მეორე საამქროში აიგოს დახურული ღუმელი, ხოლო მომავალ წელს დაიწყოს მშენებლობა ექვსი ასეთი ღუმელის მოსაწყობად.

ლ. ლოლაძე,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

## პირველი თაღოვანი კაშხალი რესპუბლიკაში

ლაჯანურჰესის მშენებლები პასუხსაგები ამოცანების წინაშე დგანან. ერთ-ერთი ვალდებულება, რომლის შესრულებაც მშენებლებმა 7 ნოემბრისათვის იკისრეს, — ეს არის მდინარე ცხენისწყლის გადაგდება ლაჯანურის ხეობაში. ამ ამოცანის შესრულებისათვის წარმატებით იბრძვის გვირაბების № 2 უბანი (უფროსი გ. კუჭუხიძე). ო. ბლიაძის, ა. ოლეინიკოვისა და ა. ნიშუტას მებეტონეთა ბრიგადები გეგმით გათვალისწინებული 7 მეტრის ნაცვლად ყოველდღიურად 12-13 მეტრს გადიან გვირაბში.

გვირაბის ბეტონით მოპირკეთებაზე მებეტონეებმა პირველად გამოიყენეს ბეტონმტუმბავი, რომელიც 25 კაცით ამცირებს მუშახელის რაოდენობას და 60 პროცენტამდე — შესრულებულ სამუშაოთა თვითღირებულებას.

გვირაბმშენებლებს არც ცხენისწყლის კაშხალისა და სათავე-ნაგებობათა მშენებლები ჩამორჩებიან. სათავე-ნაგებობათა მშენებლობის უფროსს, ახალგაზრდა ინჟინერს ვ. ჰარბაძეს ხშირად ნახავთ მექსკავატორეებთან, მებულდოზერეებთან, მებეტონეებთან. იგი ყველგან გულდასმით ამოწმებს მუშაობის პროცესს, შესრულებულ სამუშაოთა ხარისხს.

კაშხალისა და სხვა ნაგებობათა მშენებლობაზე შესრულებულია ათასობით კუბმეტრი მიწისა და ბეტონის სამუშაოები.

გაცხოველებული მუშაობაა აგრეთვე ორპირის თაღოვანი კაშხალის მშენებლობაზე, რომელსაც 75 მეტრი სიმაღლე ექნება. ამ კაშხალის საშუალებით შეტბორებული წყალი გვირაბით გაიშვება საგენერატორო სადგურისაკენ. ორპირის კაშხალი ყველაზე რთული ნაგებობა იქნება მთელ მშენებლობაზე და პირველი თაღოვანი კაშხალი — რესპუბლიკაში.

მდინარე ლაჯანურის გვერდით კლდეში გაყვანამ დიდად შეუწყო ხელი კაშხალის მშენებლობის დაჩქარებას. ბ. გოგოძის, რ. თვარაძისა და ხ. ზოდელავას მშენებელი ბრიგადები დიდი გადაჭარბებით ასრულებენ დავალებებს.

ლაჯანურჰესის მშენებელთა ერთსულოვანი შრომის შედეგად კოლექტივმა ნახევარი წლის გეგმა 19 ივნისისათვის 101 პროცენტით შეასრულა. (საკ. კორ.).

## საბჭოთა ახალგაზრდობის დიდი დღესასწაული



თბილისი. კომკავშირის ხეივანზე საბჭოთა ახალგაზრდობის ზეიმის დღეს... ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## ზეიმი მოსკოვში

დილაადრიან დედაქალაქის ქუჩებში გამოჩნდნენ ახალგაზრდობის დღესასწაულის პირველი მაუწყებელნი — მოტოციკლისტები, რომლებიც უხმობდნენ მოსკოველებს მონაწილეობა მიეღოთ საბჭოთა ახალგაზრდობის დღესასწაულში.

ათჯერ ჩამოკრეს კურანტებმა კრემლის მაცხოვრის კოშკზე. წითელ მოედანზე გვირგვინებით შემოდიან დედაქალაქის რაიონების ახალგაზრდობის წარმოგზავნილნი. ქალაქის ყოველ კუთხიდან შეიკრიბნენ აქ ქალიშვილები და ჭაბუკები, რათა პატივი ეცათ კომუნისტური პარტიის და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეთა, ხალხის ბედნიერებისათვის მებრძოლთა ხსოვნისათვის. ახალგაზრდობამ გვირგვინებით შეამკო ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მავზოლეუმი.

შუადღისათვის მოსკოვის ოცივე რაიონიდან გაემართნენ კოლონები ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონისაკენ. აქ საზეიმო მიტინგის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე დღესასწაულის ათასობით მონაწილემ მოიყარა თავი სტადიონის ხეივნებში.

საღამოს ხუთი საათისათვის ხალხით ივსება დიდი სასპორტო არენის ტრიბუნები. თავის დღესასწაულზე ახალგაზრდობამ მოიწვია მრეწველობის მოწინავენი, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, სოციალისტური შრომის გმირები, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები, საბჭოთა არმიისა და ფლოტის მეომრები. საბჭოთა ახალგაზრდობასთან ერთად აქ იყვნენ მისი უცხოელი მეგობრები — მრავალი ქვეყნის სტუდენტები, რომლებიც დედაქალაქის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ.

მქუხარე ტაშით შეხვდნენ დამსწრენი ამხანაგებს ნ. გ. იგნატოვს, ა. ი. კირიჩენკოს, ფ. რ. კოზლოვს, ა. ი. მიქოიანს, ე. ა. ფურცევას, ნ. ს. ხრუშჩოვს, ნ. მ. შვერნიკს, პ. ნ. პოსპელოვს, დ. ს. პოლიანსკის, რომლებიც მთავრობის ლოჟაში შემოვიდნენ.

უზარმაზარ მწვანე მინდორზე ჩამწკრივდნენ ფიზკულტურელები. გაისმის ფანფართა სიგნალი. ჰაერში გამოჩნდნენ თვითმფრინავები, მათ მოაქვთ ალისფერი ქსოვილები, რომლებზეც წარწერილია: „დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას", „დიდება საბჭოთა ხალხს", „დიდება საბჭოთა ახალგაზრდობას", „წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!" პარადის სარდალი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, მსოფლიო ჩემპიონი ციგურაობაში ოლეგ გონჩარენკო აძლევს პატაკს. დგება საკავშირო ალკკ მოსკოვის საქალაქო ორგანიზაციის დროშის გამოტანის საზეიმო მომენტი. იგი გამოაქვთ წარჩინებულ კომკავშირელებს. შეკრებილთ მისასალმებელი სიტყვით მიმართა საკავშირო ალკკ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა არკადი სოსინმა. ახალგაზრდა მოსკოველთა სახელით ა. სოსინმა სალამი გადასცა საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ყველა ქალიშვილსა და ჭაბუკს, დიდი წარმატებები უსურვა დიდი ჩინეთის, ყველა მოძმე სოციალისტური ქვეყნის ახალგაზრდობას, სალამი უძღვნა მსოფლიოს მთელ მშრომელ ახალგაზრდობას.

მაღალ ფლაგშტოკზე აფრიალდა სსრ კავშირის სახელმწიფო ალამი. ზეიმურად ჟღერს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნის მელოდია. სტადიონზე გაისმის მქუხარე ტაში. მოსკოვის რაიონების 20 ქალიშვილმა ყვავილების თაიგულები მიართვა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს.

მიტინგზე გამოვიდნენ ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის ოსტატი ბორის ფედოროვი, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ირინე ბუშკინა. პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ი. უსტინოვმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის სახელით მიულოცა ახალგაზრდობას დღესასწაული, და გამოთქვა რწმენა, რომ დედაქალაქის ქალიშვილები და ჭაბუკები კვლავაც იქნებიან პარტიის აქტიური თანაშემწენი ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის ბრძოლაში.

მიტინგის მონაწილეებმა უდიდესი აღმავლობით მიიღეს წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი.

დაიწყო სადღესასწაულო მარშ-პარადი. ტრიბუნებზე მხურვალედ უკრავენ ტაშს მარშ-პარადის მონაწილეებს.

მაგრამ ამით როდი ამოიწურება სილამაზით განსაცვიფრებელი ამ დღესასწაულის პროგრამა. რამდენიმე წუთის შემდეგ მწვანე მინდორი აჭრელდა ტანმოვარჯიშეთა კოსტიუმებით. პირველნი გამოდიან ნორჩ პიონერთა სტადიონის აღსაზრდელნი. მუსიკის ხმაზე ისინი ასრულებენ თავისუფალ ვარჯიშს. ნორჩები შეცვალეს მოზრდილმა ფიზკულტურელებმა. დახვეწილი და ლამაზი მოძრაობა საყოველთაო აღტაცებას იწვევს. შემდეგ მაყურებლებმა ნახეს აკრობატთა გამოსვლები, კომიკური ამანათრბენი, მოტოციკლებით ხტომა.

ღამით დედაქალაქის მოედნებზე, პარკებში, სკვერებში გაიმართა მასობრივი სეირნობა, ცეკვა, ფერხული, გაისმა სიმღერები.

საბჭოთა ახალგაზრდობის დღე მოსკოვში აღინიშნა როგორც საყოველთაო-სახალხო დღესასწაული. ახალგაზრდა მოსკოველები ახალი ძალებით იწყებენ მუშაობას, რათა ლენინური კომკავშირის 40 წლისთავის ისტორიულ თარიღს შეხვდნენ ახალი, კიდევ უფრო შესანიშნავი შრომითი გამარჯვებებით. (საქტესი).

## თბილისის ახალგაზრდობის სიხარული

29 ივნისი მთელი ჩვენი დიადი სამშობლოს ჭაბუკებისა და ქალიშვილების ზეიმის დღე იყო. ამ დღეს საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში ახალგაზრდობა სიმღერით, ღიმილით, სიხარულით აღნიშნავდა თავის ბედნიერებას.

უნაპირო იყო ზეიმით გამოწვეული სიხარული ქალაქ თბილისშიც. საღამოს შვიდი საათისათვის ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში თავი მოიყარეს ქალაქის ახალგაზრდა მუშებმა, მოსამსახურეებმა, სტუდენტებმა, მოსწავლეებმა. მოვიდნენ პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები. საზეიმოდ მორთული, ნაირფერად გაჩირაღდნებული პარკი ჟრიამულითა და სიცილ-კისკისით აივსო. ათასობით კაცი მოუთმენლად ელოდა ზეიმის დასაწყისს.

იხსნება საზეიმო კრება. პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. შესავალ სიტყვას ამბობს საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი ვ. კაჭარავა. იგი ლაპარაკობს პარტიისა და მთავრობის მზრუნველობით გარემოცული ახალგაზრდობის მამაცურ, პატრიოტული შრომისა და ბეჯითი სწავლის შესახებ. შემდეგ შეკრებილთ მიესალმნენ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. მელაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ვ. კუპრაძე, პარტიის ძველი წევრი, პროფესორი გ. მჟავანაძე და სხვები. საღამოს დამსწრეთ მიესალმნენ აგრეთვე ნორჩი პიონერები და თბილისის გარნიზონის მეომრები. შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ საქართველოში სტუმრად მყოფ პოლონელ სპორტსმენთა დელეგაციის ხელმძღვანელს პოლონეთის სპორტული საზოგადოების „პოლონიას" პრეზიდენტს ოტო სოლევსკის.

კრების შემდეგ პარკში მოეწყო დიდი სახალხო სეირნობა მრავალნაირი გართობით, რომელიც გვიან ღამემდე გრძელდებოდა.

## საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პირველი სესია

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის სააქტო დარბაზში ორ დღეს მიმდინარეობდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პირველი სამეცნიერო სესია, რომელიც საკვებმოპოვების საკითხებს მიეძღვნა.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა მ. საბაშვილმა.

მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა დოცენტ გ. რცხილაძეს. მან ილაპარაკა მინდვრად საკვებმოპოვების მდგომარეობისა და მისი გაფართოება-გაუმჯობესების ამოცანების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უკანასკნელ წლებში ჩვენი რესპუბლიკის მეცხოველეობა მტკიცედ დაადგა აღმავლობის გზას. თითქმის სამჯერ გაიზარდა ძროხების საშუალო წლიური წველადობა, მნიშვნელოვნად გადიდდა ხორცის წარმოება და სხვ.

მაგრამ მეცხოველეობის პროდუქტიულობის შემდგომ თვალსაჩინო ზრდას ჯერ კიდევ აფერხებს სათანადო საკვები ბაზის უქონლობა. საქართველოში ჯერ კიდევ მწვავედ იგრძნობა მწვანე და წვნიანი საკვების სიმცირე. უხეშ საკვებში თვის ხვედრითი წონა მნიშვნელოვნად დაბალია. ასევე დაბალია ცილების დონე ზამთრისათვის დამზადებულ ყველა სახის საკვებში.

საკვებმოპოვების საკითხის წარმატებით გადაჭრისათვის აუცილებელია უფრო მიზანშეწონილად ვისარგებლოთ საგრუულებით, მნიშვნელოვნად გავზარდოთ მოსავლიანობა, სრულად და რაციონალურად გამოვიყენოთ საკვების არსებული რესურსები.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მეცხოველეობის საკვებით უზრუნველყოფის ყველაზე მიზანშეწონილ და ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს ნათესბალახიანი თესლბრუნვათა სისტემის საფუძველზე მინდვრად საკვებმოპოვების სწორი ორგანიზაცია.

სესიაზე მოსმენილ იქნა აკადემიკოს ს. ერქომაიშვილის მოხსენება, რომელიც საქართველოს მეცხოველეობაში ცილებით საზრდოობის მდგომარეობასა და მისი გაუმჯობესების საშუალებებს მიეძღვნა.

ცილა მეტად ძვირფასი საზრდო ნივთიერებაა. მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის საკმარისი არ არის მარტო საკვების გადიდებისათვის ვიბრძოლოთ, ამასთან ერთად საჭიროა საკვებში ცილის შემცველობასაც მივაქციოთ ჯეროვანი ყურადღება.

ცილებით საზრდოობის დაბალი დონე ცხოველთა პროდუქტიულობის დაქვეითებას იწვევს. ამიტომ, რაც უფრო მეტ მოთხოვნილებას ვუყენებთ მეცხოველეობის განვითარებას, მით უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს პირუტყვის ცილებით საზრდოობას.

შემდეგ მომხსენებელმა ჩამოთვალა საკვებ ბაზაში ცილის დეფიციტის დაძლევის ის რეალური საშუალებები, რომლებიც, საკვებმოპოვების საკითხის გადაჭრასთან ერთად, უახლოეს ხანში წარმატებით უნდა განხორციელდეს ჩვენს რესპუბლიკაში.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა ბ აბესაძემ თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ დასავლეთ საქართველოს რაიონებში დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მრავალწლიანი პარკოსანი საკვები ბალახის — კურდღლისფრჩხილას დანერგვას.

ეს მცენარე კარგად ეგუება ჰავისა და ნიადაგის სხვადასხვა პირობებს, იძლევა მწვანე მასის მაღალ და მყარ მოსავალს. გარდა ამისა, ამ მცენარეს სხვა დადებითი თვისებებიც აქვს, რაც მეურნეობაში მისი დანერგვის აუცილებლობას განაპირობებს.

საკვებმოპოვების აქტუალურ საკითხებს მიუძღვნეს თავიანთი მოხსენებები აგრეთვე ლ. ყავრიშვილმა, მ. რჩეულიშვილმა, შ ნაჭუცრიშვილმა, გ. ლუარსაბიშვილმა, ვ. ანდრუკოვიჩმა, დ. დედულმა, ვ. ვორგოშიძემ, გ. გარსევანიშვილმა.

სამეცნიერო სესიაზე სულ 11 მოხსენება იქნა წაკითხული. ამ მოხსენებებში შეჯამდა მეცნიერთა მიერ წლების მანძილზე მოპოვებული წარმატებები, მრავალი საყურადღებო საკითხი გაირკვა და კონკრეტული ღონისძიებები დაისახა წარმოებაში მათი შეუფერხებლად დანერგვისათვის.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აკადემიკოსმა დ. გედევანიშვილმა, პროფესორმა პ. ქლენტმა, დოცენტმა ა. ჯაფარიძემ, აკადემიკოსმა ნ. ხომიზურაშვილმა, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ვ. მირიანაშვილმა და სხვებმა. კამათის დროს აღინიშნა, რომ სესიის მუშაობას მთელი რიგი ნაკლოვანებები ახასიათებდა. მაგალითად, მომხსენებლებს არაფერი უთქვამთ საკვებმოპოვების გადიდების საქმეში მექანიზაციის დანერგვის მნიშვნელობაზე. სესიას არ ესწრებოდნენ კოლმეურნეობის თავმჯდომარეები, ბრიგადირები, სოფლის მეურნეობის რიგითი მუშაკები, ის ადამიანები, რომლებმაც პრაქტიკულად უნდა განახორციელონ მეცნიერების მიღწევები. ამ ხარვეზების მიუხედავად, სესიამ მაღალ მეცნიერულ დონეზე ჩაიარა და მრავალი საკითხი იქნა მოსმენილი და დადებითად გადაჭრილი.

სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის პირველი სამეცნიერო სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ვ. პ. მჟავანაძემ, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა.

ამხანაგმა ვ. პ. მჟავანაძემ აღნიშნა, რომ მეცხოველეობის განვითარების საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მტკიცე საკვები ბაზის შექმნას. ამ მხრივ მეცნიერები ჯერ კიდევ დიდ ვალში არიან სოფლის მეურნეობის მუშაკების წინაშე.

მარტო მსჯელობა და კამათი არ შველის საქმეს, საჭიროა ჩვენმა მეცნიერებმა განაზოგადონ თავიანთი მიღწევები და უფრო კონკრეტული დახმარება გაუწიონ კოლმეურნეებს ყოველგვარი სიახლის დანერგვაში.

დასასრულ ამხანაგმა ვ. პ. მჟავანაძემ მოუწოდა მეცნიერებს თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანონ საერთო-სახალხო საქმის — მეცხოველეობის შემდგომი განვითარების საქმეში.

სესიამ შეიმუშავა ღონისძიება, რომელშიც ასახვა ჰპოვა ყველა მომხსენებლისა და კამათში გამოსული ამხანაგის საქმიანმა წინადადებებმა და შენიშვნებმა. ღონისძიება ითვალისწინებს მეცნიერთა ყველა იმ მიღწევის შეუფერხებლად დანერგვას წარმოებაში, რომელიც საკვებმოპოვების საკითხის წარმატებით გადაჭრას ემსახურება.

# საჭიროა მეტი ორგანიზებულობა

ხაამური სანახავია ახლა მარნეულის რაიონის საკოლმეურნეო მინდვრები. საითაც გაიხედავთ, ყველგან ჩანს კოლმეურნეთა თავდადებული შრომის ნაყოფი: სიმწიფეში შესული პურის ყანები, მწვანედ მოხასხასე სიმინდის ნათესები, ფოთლებგაბადრული თამბაქოს პლანტაციები. ველად მასობრივად გასულ მშრომელებს ახალი საზრუნავი გასჩენიათ — დაუწყიათ თავთავიანი მარცვლეულ კულტურების აღება, რამაც უნდა დააგვირგვინოს მათ მიერ უხვი მოსავლის მიღებისათვის გაწეული მუშაობა.

25 ივნისისათვის რაიონის კოლმეურნეობებში აღებული იყო 351 ჰექტარი პურეული. ალგამედლოს სვერდლოვის, მარნეულის სტალინის, დიდი მუღანლოს ჟდანოვისა და ქესალოს დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობებში არ ახსოვთ პურის ისეთი კარგი მოსავალი, როგორც წელს არის. მტს-ების რეორგანიზაციის შემდეგ მოსავლის აღება ახალ პირობებში მიმდინარეობს. ამიერიდან მკაზე, ლეწვასა და სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მიწისა და ტექნიკის ერთ პატრონს — კოლმეურნეობას. ამან აამაღლა კოლმეურნეობებში პასუხისმგებლობა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებამ სოფლის მეურნეობის მშრომელები ახალი მიღწევებისათვის აღაფრთოვანა.

მოსავლის აღებისათვის მზადების კარგ მაგალითს იძლევა რაიონში ერთ-ერთი მსხვილი მრავალდარგოვანი მეურნეობა — დაბა მარნეულის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ა. აივაზოვი), რომელმაც წელს 1.276 ჰექტარი პურეული უნდა აიღოს. გეგმით აქ მკას და სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვას 10 დღეში დაამთავრებენ. ამავე გეგმაში ზუსტად არის განსაზღვრული მოსავლის აღების სამუშაოთა ვადები და აგრეგატების მოძრაობის მარშრუტები. კოლმეურნეობაში მოსავლის გაყოფით აღებაზე მუშაობს ორი ლაფეტიანი სამკალი. პირდაპირ კომბაინირებაზე კი იმუშავებს 8 მძლავრი კომბაინი. აგრეგატები აღჭურვილია მარცვალმჭერებით, ბზის შემგროვებლებით, ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით. წესრიგზე მოყვანილია კალოები, გამზადებულია სატვირთო მანქანები მარცვლეულის გადასაზიდავად.

26 ივნისს სოფელ ალმამედლოს მისადგომებთან გაშლილი პურის ყანები მისაბმელმა ლაფეტიანმა სამკალმა აახმიანა. ამ დღეს ალმამედლოელმა კოლმეურნეებმა პირველი 15 ჰექტარი პურეული აიღეს. უხვი დოვლათი ახარებს კოლმეურნეთა გულს. ისინი წელს ერთიორად — 10 მილიონ მანეთამდე გაზრდიან არტელის შემოსავალს.

მოსავლის აღებისათვის მზადებისა და მკის პირველმა დღეებმა ცხადყო, რომ ზოგან ამ კამპანიის გაჭიანურების შემთხვევებია და იქმნება დანაკარგების საფრთხე, თუ აქედანვე არ განხორციელდა გადამჭრელი ღონისძიებანი შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

როგორც ცნობილია, მოსავლის ორ ფაზად აღება საშუალებას იძლევა არა მარტო ადრე დაიწყოს მკა, შემცირდეს მოსავლის აღების ვადები და, მაშასადამე, აღმოიფხვრას დანაკარგები, არამედ გაწეულ იქნას შრომითი დანახარჯების ეკონომიაც. მაგრამ შარშან მარნეულის რაიონის კოლმეურნეობებში, რომელთა განკარგულებაში თითქმის მტს-ის მძლავრი ტექნიკა იყო, მოსავლის გაყოფით აღების დავალება ვერ შეასრულეს — გეგმით გათვალისწინებული 800 ჰექტარის ნაცვლად ამ წესით 431 ჰექტარი აიღეს. მიმდინარე წლის მაგალითი ცხადყოფს, რომ ზოგან წელსაც ეჭვით უყურებენ პრაქტიკით შემოწმებულ ამ პროგრესულ მეთოდს. მიუხედავად იმისა, რომ კოლმეურნეობათა პურის მასივებზე მოსავლის გაყოფით აღების დაწყება ჯერ კიდევ ამ 10-12 დღის წინათ შეიძლებოდა, ზოგან ამ საქმეს დღემდე არ შესდგომიან. სოფელ კირიხლოს ტელმანის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ი. კახრამანოვი) მთელი მოსავლის 40 პროცენტი გაყოფით უნდა აიღონ, მაგრამ აქამდე ლაფეტიანი სამკალი კოლმეურნეობის კარმიდამოს არ გასცილებია. როგორც იყო აქ პირდაპირი კომბაინირებით 25 ივნისს დაიწყეს ქერის აღება, მაგრამ არაორგანიზებულობამ მაშინვე იჩინა თავი: ჯერ-ერთი, დღის 11 საათზე გაუშვეს სამუშაოდ კომბაინი, მეორეც, ვერ უზრუნველყვეს საზიდრის მიწოდება ბუნკერის გასაცლელად. ამის გამო კომბაინერი რადჩენკო იძულებული იყო ყანის შემოვლის შემდეგ მანქანა ნაკვეთიდან გამოეყვანა კალოზე მარცვლის გადმოსატვირთავად.

სოფელ კრასნოე სელოს ოქტომბრის XVII წლისთავის სახელობის კოლმეურნეობაში გაყოფით აღებას მხოლოდ 25 ივნისს შეუდგნენ და არც პირდაპირი კომბაინირებით ნაკვეთების შერჩევით აღებისათვის უზრუნიათ.

15-16 დღეა რაიონში მიიღეს 18 ლაფეტიანი სამკალი, მაგრამ ჯერჯერობით მათგან მხოლოდ 8 მუშაობს და ისინიც არასრული დატვირთვით. გიუვრარხის ლენინის, კაპანახჩის მახარაძის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებში სალეწები არ მუშაობენ ტრაქტორ „ბელარუსის" საბურავების უქონლობის გამო.

ზოგიერთ კოლმეურნეობაში ტექნიკა ჯერ კიდევ არ არის სრულ საბრძოლო მზადყოფნაში და ეს იმის შედეგიც არის, რომ მტს-ების რეორგანიზაციის შემდეგ მთელ რიგ სასოფლო-სამეურნეო არტელებს შეუკეთებელი მანქანები გადაეცათ. მაგალითად, ყოფილ წითელხიდის მტს-მა სოფელ ქურთლარის ილიჩის სახელობის კოლმეურნეობას მიჰყიდა 5 კომბაინი „სტალინეც-6", რომელთაგან ორი შეუკეთებელი იყო.

რაიონის სარემონტო-ტექნიკური სადგური (დირექტორი მ. კოჯაევი), რომელმაც თავისი ორგანიზაციული პერიოდი გააჭიანურა, ჯერ კიდევ მთელი ძალით არ ჩაბმულა მუშაობაში.

ზოგიერთ კოლმეურნეობაში არ მუშაობს სატვირთო ავტომანქანების ნაწილი ავტოსაბურავების უქონლობის გამო, ამიტომ კოლმეურნეები სამართლიან პრეტენზიებს უყენებენ ცეკავშირს.

მარნეულში წელს 12.431 ჰექტარი პურეული უნდა აიღონ. რაიონის მშრომელებს პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით ყველა პირობა აქვთ მთლიანად შეასრულონ გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი, მისცენ ქვეყანას მეტი პური. მოსავლის აღების პირველ დღეებში შემჩნეულ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ გამოსწორება ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრის ერთ-ერთი მთავარი პირობა იქნება.

გ. ზუბაკიშვილი,
„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტი.



სურათზე: სოფელ ლასურიაშის საშუალო სკოლის კომკავშირული კოლმეურნეობის გამგეობის სხდომა. ცენტრშია კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბ. ფარჯანაძე.

* * *

## კომკავშირული კოლმეურნეობა ნაყოფიერად მუშაობს

ცაგერის რაიონის სოფელ ლასურიაშის საშუალო სკოლის კომკავშირელებმა რესპუბლიკაში პირველებმა აიღეს ინიციატივა — ჩამოეყალიბებინათ კომკავშირული კოლმეურნეობა.

კოლმეურნეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ენერგიული ახალგაზრდა მასწავლებელი ბ. ფარჯანაძე. გამგეობის პირველ სხდომაზე ბრიგადირებად აირჩიეს მოწინავე კომკავშირელი მოსწავლეები გ. კოპალიანი და გ. სვანიძე. თვითეულ ბრიგადაში შექმნეს ორი მემინდვრეობისა და ერთი მევენახეობის რგოლი. კოლმეურნეობაში გაერთიანდა 82 მოსწავლე, რომლებსაც მოსავლელად ჩააბარეს 25 ჰექტარი სიმინდის ნათესი, 4,5 ჰექტარი ვენახი და 18 ჰექტარი ხეხილის ბაღი. ისინი ჩადებენ აგრეთვე 100 ტონა სილოსს და გამოკვებავენ 55 გრამ აბრეშუმის მგრს.

კომკავშირლებმა იკისრეს გეგმების გადაჭარბებით შესრულება.

ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას მთელმა კოლექტივმა მონდომებით მოჰკიდა ხელი. 20 ივნისისათვის მოსწავლეებმა 200-მდე შრომადღე გამოიმუშავეს. ნაყოფიერად მუშაობენ ა. ტვილდიანი, გ. სვანიძე, ქ. მუშკუდიანი, ო. ცხვედიანი, ძმები გოგა და ანზორ მუშკუდიანები და სხვები. კოლმეურნეობის ჩამოყალიბების დღიდან არცერთი სამუშაო დღე არ გაუცდენიათ № 2 ბრიგადის მებაღე-მევენახეობის რგოლის წევრებს. ამ რგოლის წევრმა მ. გასვიანმა ორ დღეში გაფურჩქნა და აახვია 2.652 კვადრატული მეტრი ვენახი და შრომის წიგნაკში 2,82 შრომადღე ჩაიწერა. ასევე გადაჭარბებით ასრულებენ ნორმებს ქ. მეშველიანი და გ. ყრუაშვილი.

კოლმეურნეობაში შემჭიდროებულ ვადებში ჩაატარეს სიმინდის პირველი თოხნა, ვენახის მეორე გათოხნა და შეწამვლა.

კოლმეურნეობაში დიდ ყურადღებას უთმობენ მეაბრეშუმეობას. მოსწავლეები აგროტექნიკური წესების ზუსტი დაცვით უვლიან აბრეშუმის ჭიებს, რასაც სასურველი შედეგი მოაქვს. ისინი თვითეული გრამი მუხლიდან 4,5-5 კილოგრამ მაღალხარისხოვანი პარკის მიღებას ვარაუდობენ.

ლასურიაშელ კომკავშირელთა ინიციატივას რაიონის სკოლები აქტიურად გამოეხმაურნენ. იქ, სადაც მოსწავლეთა უმრავლესობას ადგილობრივი მცხოვრებლები შეადგენენ, იქმნება კოლმეურნეობები, ხოლო იმ სკოლებში, სადაც მოსწავლეთა დიდი რაოდენობა მეზობელი სოფლებიდან არის ჩამოსული, ყალიბდება ბრიგადები, რომლებიც არდადეგების პერიოდში დახმარებას გაუწევენ თავიანთ კოლმეურნეობას.

ლასურიაშელ მოსწავლეთა ინიციატივა მისაბაძია.

ა. ბუჩიძე,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

### კომკავშირის მე-40 წლისთავის შესახვედრად

## გარეჯის რაიონში

### 102 კილოგრამი აკაციის თესლი

კარგი ინიციატივა გამოიჩინა რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობამ. ახალგაზრდებმა იკისრეს შეაგროვონ და ჩააბარონ სატყეო მეურნეობას აკაციის თესლი. მოსწავლეებმა თავიანთი დანაპირები წარმატებით შეასრულეს, შეაგროვეს 102 კილოგრამი აკაციის თესლი.

### იუბილესათვის მზადების დღეებში

ბევრი ღონისძიება ტარდება რაიონში კომკავშირის სახელოვანი იუბილესათვის მზადების დღეებში. პარტიის მოწოდების პასუხად კომკავშირის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად რაიონის საშუალო სკოლის კურსდამთავრებული 660 ახალგაზრდა კომკავშირული საგზურით წავა სოფლის მეურნეობაში სამუშაოდ.

### კომკავშირულ ყულაბაში

რაიონის ახალგაზრდებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს კომკავშირის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად კომკავშირულ ყულაბაში შეიტანონ სულ ცოტა ნახევარი მილიონი მანეთი. ახალგაზრდები წარმატებით ანაღდებენ ნაკისრ ვალდებულებას, მათ დღეისათვის უკვე შეიტანეს კომკავშირულ ყულაბაში 280 ათასი მანეთი.

### სასახელო მაჩვენებლებით რომ შეხვდნენ

ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება კომკავშირის მე-40 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. რაიონში შეიქმნა 27 კომკავშირული რგოლი. ახალგაზრდების ძალებით დაითესა 50 ჰექტარი სიმინდი, გაშენდა ვენახი 11 ჰექტარზე, ხეხილის ბაღი 8 ჰექტარზე, მუშაობს 14 ახალგაზრდული მეაბრეშუმეთა რგოლი. რაიონის ახალგაზრდებმა ვალდებულება აიღეს თავიანთი ძალებით გასუქონ სულ ცოტა 1.000 სული ღორი.

ი. ნუცუბიძე.

# საბჭოთა მთავრობის საპროტესტო ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი

28 ივნისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მიიწვია საგარეო საქმეთა სამინისტროში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ლ. ე. ტომპსონი და გადასცა საბჭოთა მთავრობის საპროტესტო ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის სამხედრო თვითმფრინავმა დაარღვია საბჭოთა სახელმწიფო საზღვარი. ქვემოთ ქვეყნდება აღნიშნული ნოტის ტექსტი:

სსრ კავშირის მთავრობას საჭიროდ მიაჩნია შემდეგი განუცხადოს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას.

ამა წლის 27 ივნისს 18 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით ოთხმოტორიანმა სამხედრო თვითმფრინავმა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების გამოსაცნობი ნიშნები ჰქონდა, დაარღვია საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვარი ქალაქ ერევნის სამხრეთით მდებარე რაიონში და შემოვიდა საჰაერო სივრცეში საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე 170 კილომეტრამდე.

ამერიკის თვითმფრინავს შეხვდა ორი საბჭოთა გამანადგურებელი, რომლებმაც სიგნალების საშუალებით წინადადება მისცეს მას გაჰყოლოდა ახლო მდებარე აეროდრომზე დასაშვებად. საზღვრის დამრღვევი თვითმფრინავი არ დაემორჩილა ამ მოთხოვნას. საბჭოთა გამანადგურებლებმა აიძულეს საზღვრის დამრღვევი თვითმფრინავი დაშვებულიყო ძირს. იგი საბჭოთა ტერიტორიაზე დაეშვა რაიონში, რომელიც არის 240 კილომეტრზე იმ ადგილიდან, სადაც მან დაარღვია საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვარი, და დაიწვა.

საზღვრის დამრღვევი თვითმფრინავის ძირს დაშვების შემდეგ დააკავეს ამ თვითმფრინავის ეკიპაჟის 9 წევრი. მათ აცვიათ ამერიკული სამხედრო ფორმა. როგორც ამ პირთა ჩვენებებიდან და მათი დოკუმენტებიდან ჩანს, ყველა დაკავებული ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების სამსახურში იმყოფება.

მოყვანილი ფაქტები მოწმობენ, რომ ამერიკის სამხედრო თვითმფრინავმა განზრახ დაარღვია სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარი.

როგორც ცნობილია, ამგვარი დარღვევის ფაქტები წინათაც მომხდარა, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, მიუხედავად იმისა, რომ ცნობები, რომლებსაც საბჭოთა მთავრობა იუწყებოდა, სავსებით დასაბუთებული იყო, და მიუხედავად ფაქტებისა, უარყოფდა, რომ ამერიკის თვითმფრინავები არღვევენ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვარს. გარემოებანი, რომლებიც დაკავშირებულია იმასთან, რომ ამერიკის სამხედრო თვითმფრინავმა 27 ივნისს დაარღვია სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარი, ისეთია, რომ ახლა უნდა ვიფიქროთ, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ველარ უარყოფს ამ დარღვევის ფაქტს.

საბჭოთა კავშირის მთავრობა მტკიცე პროტესტს უცხადებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკის სამხედრო თვითმფრინავმა უხეშად დაარღვია საბჭოთა საზღვარი.

საბჭოთა მთავრობას უკვე არაერთხელ მიუპყრია ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ყურადღება იმ ფაქტებისადმი, რომ ამერიკის სამხედრო თვითმფრინავებმა დაარღვიეს საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცე და აღუნიშნავს, თუ რა სერიოზული შედეგები შეიძლება მოჰყვეს ასეთ დარღვევას. საბჭოთა მთავრობა მოითხოვდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ სათანადო ღონისძიებანი განახორციელოს ასეთი დარღვევის აღსაკვეთად.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ამ გზას არ დაადგა.

არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ასეთი პოზიცია არ უწყობს ხელს იმას, რომ შენელდეს ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის დაძაბულობა, თუმცა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას არა ერთხელ განუცხადებია, რომ იგი, როგორც საბჭოთა კავშირის მთავრობა, ესწრაფვის ამ ურთიერთობის გაუმჯობესებას. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ასეთი პოზიცია არ ეგუება მის მშვიდობისმოყვარულ განცხადებებს და იწვევს არა მარტო სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის გამწვავებას, არამედ კიდევაც ართულებს მთლიანად საერთაშორისო ვითარების განმუხტვას.

საბჭოთა მთავრობა მტკიცედ მოითხოვს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ განახორციელოს ეფექტიანი ღონისძიებანი, რათა არ იქნას დაშვებული, რომ ამერიკის სამხედრო თვითმფრინავებმა დაარღვიონ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვარი.

მოსკოვი, 1958 წლის 28 ივნისი.

# ქართველ და უკრაინელ კოლმეურნეთა ძმური შეჯიბრების სახელოვანი ოცი წლისთავი

★

შ. ჭანუყვაძე,
საქართველოს კპ მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი.

★

ოცი წელი შესრულდა უკრაინისა და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკების ორი მოძმე რაიონის — გენიჩესკისა და მახარაძის რაიონების მშრომელთა ძმური შეჯიბრებისა და მეგობრობის ჩასახვის დღიდან. ეს სახელოვანი 20 წლისთავი ახალი ძალით ცხადყოფს მშობლიური კომუნისტური პარტიის დაუცხრომელ ზრუნვას იმისათვის, რომ განუწყვეტლივ მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს მეგობრობა ჩვენი ქვეყნის ხალხთა შორის.

ჩვენმა პარტიამ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი აღზარდა და გამოაწრთო ურღვევი ძმობისა და მეგობრობის სულისკვეთებით.

დიადი საბჭოთა სამშობლოს ხალხთა ურღვევი მეგობრობის ბრწყინვალე გამოხატულებაა საქართველოს სსრ მახარაძისა და უკრაინის სსრ გენიჩესკის რაიონების მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც ხალხთა ლენინური მეგობრობის დროშით ჩაისახა და განვითარდა. ამ შესანიშნავმა პატრიოტულმა შეჯიბრებამ ბევრი რამ მისცა მოძმე უკრაინელ და ქართველ კოლმეურნეებს, დაეხმარა და კვლავაც ეხმარება მათ იმაში, რომ ახალი დიდი გამარჯვებანი მოიპოვონ სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის, პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლაში.

ქართველ და უკრაინელ კოლმეურნეთა შეჯიბრებას მაღალი შეფასება მისცა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის გამოსვლაში უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე 1944 წელს. მან თქვა: „ომამდე ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონის კოლმეურნეები ეჯიბრებოდნენ საქართველოს სსრ მახარაძის რაიონის კოლმეურნეებს. ამჟამად ეს შეჯიბრება ახლდება".

და მართლაც, ომის შემდეგ კიდევ უფრო მაღლა აღიმართა ხალხთა ლენინური მეგობრობის დროშა, კიდევ უფრო გაფართოვდა და განმტკიცდა უკრაინელ და ქართველ კოლმეურნეთა სოციალისტური შეჯიბრება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმმა დასახა სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი მძლავრი აღმავლობის დიდებული პროგრამა. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მახარაძის რაიონის მშრომელებმა ენერგიული მუშაობა გააჩაღეს პლენუმის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის. პარტიულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლას. ბუნებრივად დაისვა საკითხი გენიჩესკელ მეგობრებთან სოციალისტური შეჯიბრების ახალი ძალით გაჩაღებისა და გაფართოების შესახებ. სტალინის და ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობათა მიერ დაწყებული შეჯიბრება მალე ორი მოძმე რაიონის მშრომელთა შეჯიბრებად გადაიქცა.

პრაქტიკაში დამკვიდრდა შესანიშნავი ტრადიცია, რომლის მიხედვით ყველა კოლმეურნეობას როდი ეძლევა უფლება შეჯიბრებაში გამოიწვიოს გენიჩესკელი კოლმეურნეები. ეს უფლება მხოლოდ მოწინავე კოლმეურნეობებს ეძლევათ. მტკიცედ იცავენ ამ წესს გენიჩესკის რაიონშიც. ამიტომ პირველ ხანებში მახარაძის რაიონიდან გენიჩესკელებთან შეჯიბრებაში მხოლოდ 14 კოლმეურნეობა იყო ჩაბმული. მას შემდეგ ყოველწლიურად მატულობს შეჯიბრებაში მონაწილე კოლმეურნეობათა რიცხვი. ამჟამად ორივე რაიონის ყველა კოლმეურნეობა ჩაბმულია ურთიერთ შეჯიბრებაში.

ახლა, როცა ვაჯამებთ გენიჩესკელი და მახარაძელი მშრომელების მიერ ძმური მეგობრობისა და შეჯიბრების ოცი წლის მანძილზე მოპოვებულ წარმატებებს, არ შეიძლება სიამაყით არ აღივსოს გული ბრწყინვალე შედეგებით.

ცნობილია, რომ მახარაძის რაიონი მეჩაიეობის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი რაიონია რესპუბლიკაში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მახარაძის რაიონში მხოლოდ 58 ჰექტარი ჩაის პლანტაცია იყო, ამჟამად კი ჩაის პლანტაციები გაშენებულია 8.932,3 ჰექტარზე, აქედან სრულმოსავლიანია 6.521,3 ჰექტარი. თუ შეჯიბრების პირველ — 1938 წელს რაიონში მოიკრიფა და მრეწველობას ჩაბარდა 8 მილიონ 666 ათასი კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 1957 წელს ეს მაჩვენებელი გაიზარდა თითქმის 3-ჯერ და მან 23 მილიონ კილოგრამს გადააჭარბა.

დიდი ადგილი უკავია რაიონის სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში აგრეთვე ციტრუსოვანთა კულტურას. ეს ძვირფასი კულტურა ამჟამად 2.224 ჰექტარზეა გაშენებული. 1957 წელს მახარაძელმა მეციტრუსეებმა თავიანთ ბაღებში დაკრიფეს და ქვეყანას მისცეს 52 მილიონ 217 ათასი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი ნაცვლად 1938 წელს დამზადებული 21 მილიონი ცალისა.

დიდად გაიზარდა სიმინდის მოსავლიანობაც. წინა წლებში რაიონის კოლმეურნეობებში საშუალოდ ჰექტარზე 10-11 ცენტნერ სიმინდს იღებდნენ. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში კი სიმინდის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 18-20 ცენტნერს შეადგენს, რაც ორჯერ აღემატება 1938 წლის მაჩვენებელს.

სოციალისტურმა შეჯიბრებამ, ძმურმა მეგობრობამ და თანამშრომლობამ, გამოცდილების ურთიერთ გაზიარებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩვენს რაიონში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საქმეში.

გენიჩესკელთა გამოცდილების პრაქტიკაში დანერგვამ კარგი შედეგი გამოიღო. 1956 წელს საშუალოდ თვითეულ ძროხაზე მიღებულ იქნა 1.020 კილოგრამი რძე, 1957 წელს კი — 1.277 კილოგრამი. კიდევ უკეთესი წარმატებები აქვთ ცალკეულ კოლმეურნეობებს.

მახარაძისა და გენიჩესკის რაიონების პარტიული ორგანიზაციები ამ მეგობრული და პატრიოტული შეჯიბრების სული და გული, მისი წამომწყებნი და მეთაურები არიან. ისინი აღაფრთოვანებენ კოლმეურნეებს ნაკისრ ვალდებულებათა სასახელოდ შესრულებისათვის საბრძოლველად. როგორც წესი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები ყოველი თვის დასაწყისში კომუნისტთა კრებებზე განიხილავენ საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ შესრულდა ნაკისრი ვალდებულებები გასულ თვეში, ისახება პრაქტიკული ღონისძიებები მომავალი მუშაობისათვის. კოლმეურნეთა საერთო კრებებზე ყოველთვიურად ეწყობა შეჯიბრებაში გამარჯვებული ბრიგადებისა და რგოლებისათვის გარდამავალი წითელი დროშების გადაცემა, ვლინდება სოციალისტური შეჯიბრების მოწინავენი.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და ხერსონის საოლქო კომიტეტი ფართოდ უჭერენ მხარს და სისტემატურად ეხმარებიან ქართველ და უკრაინელ კოლმეურნეთა სოციალისტურ შეჯიბრებას, ხელს უწყობენ მის შემდგომ გაშლასა და განვითარებას.

— ახალი შრომითი წარმატებებით შევხვდეთ ქართველ და უკრაინელ კოლმეურნეთა სოციალისტური შეჯიბრების სახელოვან 20 წლისთავს! — ამ ლოზუნგით იბრძვიან ახლა მახარაძის რაიონის მშრომელები საკოლმეურნეო მინდვრებსა და ჩაის პლანტაციებში. ღირსშესანიშნავი წლისთავის შესახვედრად მათ იკისრეს: წელს მოკრიფონ 26 მილიონი კილოგრამი ჩაის ფოთოლი, დაამზადონ 55 მილიონი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი, სახელმწიფოს ჩააბარონ 210 ათასი კილოგრამი აბრეშუმის პარკი, საშუალოდ თვითეულ ძროხაზე მიიღონ 1.500 კილოგრამი რძე, თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ 22 ცენტნერი სიმინდი.

ამჟამად მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებში დიდი მუშაობაა გაჩაღებული ნაკისრ ვალდებულებათა სასახელოდ შესრულებისათვის.

ჩაის ფოთლის კრეფის მაისის დავალება რაიონმა შეასრულა 104,9 პროცენტით, ხოლო 1 ივლისის მდგომარეობით ორი თვის დავალება შესრულებულია 100,2 პროცენტით. მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა რამდენიმე მილიონი კილოგრამი ფოთოლი, რაც წლიური გეგმის 46,6 პროცენტს შეადგენს.

გადაწყვეტილია, რომ შეჯიბრებისა და მეგობრობის 20 წლისთავის ღირსშესანიშნავი თარიღი ზეიმით აღინიშნოს მიმდინარე წლის ოქტომბერში. პარტიის მახარაძის რაიკომმა შეიმუშავა და დაამტკიცა ძმური მეგობრობის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმის ჩატარების გეგმა. ამ გეგმის მიხედვით სხვა ღონისძიებებთან ერთად გათვალისწინებულია ქ. მახარაძის კულტურისა და დასვენების პარკში დაიდგას უკრაინელი და ქართველი ხალხების მეგობრობის ამსახველი, ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული მონუმენტი მოქანდაკე ღ. ყრუშაძის მიერ შექმნილი ფიგურის მიხედვით. მეორე ასეთი მონუმენტი გაიგზავნება საჩუქრად და დაიდგმება ქ. გენიჩესკში.

რაიონის კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და საწარმო-დაწესებულებებში მიმდინარეობს დიდი მოსამზადებელი მუშაობა მეგობრობის ოცი წლისთავის აღსანიშნავად.

განსაკუთრებით გაცხოველებული მზადებაა სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც წელს დაიდგმება სერგო ორჯონიკიძის ძეგლი.

ქართველ და უკრაინელ კოლმეურნეთა სოციალისტური შეჯიბრების ყოველ დღეს სულ ახალი და ახალი შრომითი წარმატებანი მოაქვს.

კოლმეურნეთა შემოქმედებითი აქტივობისა და ინიციატივის დიდი ზრდა გამოიწვია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი აღმავლობისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის დარგში.

რაიონის მშრომელები ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებას სავალდებულო ჩაბარებისა და მტს-ების მუშაობის ნატურანაზღაურების გაუქმების შესახებ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ახალი წესის, ფასებისა და პირობების შესახებ.

გენიჩესკისა და მახარაძის რაიონების მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XX ყრილობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად დღითიდღე სულ უფრო ფართო, შინაარსიან და საქმიან ხასიათს იღებს.

ხალხთა ლენინური ძმობა და მეგობრობა საბჭოთა სამშობლოს ძალისა და ძლიერების დაუშრეტელი წყაროა. ქართველ და უკრაინელ კოლმეურნეთა სოციალისტური შეჯიბრებისა და ძმური მეგობრობის 20 წლისთავი დიდი, შესანიშნავი მოვლენაა ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში. შეჯიბრების განუხრელი აღმავლობა იმის ურყევი პირობაა, რომ მახარაძის რაიონის მშრომელები, მთელ ქართველ ხალხთან ერთად, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ახალ დიდ გამარჯვებებს მოიპოვებენ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში.

# ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚᲡ ᲣᲮᲕᲐᲓ ᲛᲘᲕᲐᲬᲝᲓᲝᲗ ᲛᲐᲦᲐᲚᲮᲐᲠᲘᲡᲮᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘ

თბილისის მთავარ უნივერმაღში დირექციისა და ჩვენი გაზეთის რედაქციის ინიციატივით მოეწყო მომხმარებლებისა და მიმწოდებლების კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკისა და ქალაქ თბილისის ხელმძღვანელი სავაჭრო ორგანოების წარმომადგენლებმა, მაღაზიების დირექტორებმა, დედაქალაქის მსუბუქ და საფეიქრო საწარმოთა ხელმძღვანელებმა. კონფერენციაზე ბევრი საყურადღებო აზრი გამოითქვა ვაჭრობაში არსებულ მდგომარეობაზე, ნაკლოვანებათა აღმოფხვრის გზებზე, კულტურული ვაჭრობის ფართოდ გაშლის, საბჭოთა მომხმარებლების გაზრდილ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის წარმატებით ბრძოლის საშუალებებზე.

ვბეჭდავთ მასალებს კონფერენციის მონაწილეთა გამოსვლებიდან.

★

## ᲩᲕᲔᲜᲘ ᲜᲝᲠᲩᲘ ᲗᲐᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

**უნივერმაღის უფროსი საქონელმცოდნის Თ. ᲙᲘᲙᲜᲐᲫᲘᲡ გამოსვლიდან**

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დაუღალავად ილვწიან საზოგადოების ნორჩი წევრების კეთილდღეობისათვის, მათი საამური და ბედნიერი ცხოვრებისათვის. ამას ერთხელ კიდევ ადასტურებს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება ბავშვის ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის წარმოების გადიდების, ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესების შესახებ.

ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებმა და სავაჭრო ორგანიზაციებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს ამ დადგენილების განხორციელებისათვის, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. მაღაზიებში ყოველთვის ვერ იყიდით საჭირო ზომის, ფერის, ფასონის ფეხსაცმელს, ტანსაცმელს და საბავშვო ასორტიმენტის სხვა საქონელს. ამასთან ბევრი საბავშვო საქონლის ხარისხი ვერ აკმაყოფილებს მყიდველთა გაზრდილ მოთხოვნებს.

საჭიროა სავაჭრო ორგანიზაციებმა მჭიდრო კონტაქტი დაამყარონ სამრეწველო საწარმოებთან, რადგან ნაკლოვანებები, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკაში ბავშვის ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის წარმოების გადიდების, ხარისხის გაუმჯობესების საქმეში არსებობს, უარყოფითად მოქმედებს სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობაზე.

სავაჭრო ქსელში საქონლის შეზიდვა ზოგჯერ ხდება დაუდევრად, მომხმარებელთა მოთხოვნილების გაუთვალისწინებლად. მაგალითად, „გლავტორგოდეჟდას" ბათუმის სამკერვალო ბაზამ თბილისის უნივერმაღს აპრილის პირველსავე დღეებში გამოუგზავნა მთელი მეორე კვარტალის მანძილზე გამოსაგზავნი საქონელი, მათ შორის 4.000 ცალამდე მამაკაცის პერანგი, რომლებზეც გაცილებით მეტი მოთხოვნილებაა ივნისში. თბილისის 1-ლ სამკერვალო ფაბრიკას არა აქვს შესაფერისი საწყობი. მზა პროდუქცია პირდაპირ ზვინებად აწყვია პატარა ფართობის საწყობში. ასეთ პირობებში შეუძლებელია საქონლის შერჩევა ზომების მიხედვით. ამიტომ ხშირად ერთისა და იმავე ზომის ტანსაცმლის წამოღება გვიხდება და მომხმარებელს იძულებულს ვხდით მაღაზიიდან მაღაზიაში იაროს საჭირო ზომის ტანსაცმლის შესაძენად.

მოდელების რესპუბლიკურ სახლში საბავშვო ასორტიმენტის ბევრ კარგ საქონელს ამზადებენ, რომელიც შემდეგ სარეალიზაციოდ იგზავნება სავაჭრო ქსელში. უმჯობესი იქნება მოდელების რესპუბლიკური სახლის პროდუქციით მომარაგდნენ ის მაღაზიები, რომლებსაც საშუალება აქვთ მოაწყონ ამ საქონლის გამოფენით ვაჭრობა.

## ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲘᲓᲐᲜ ᲛᲧᲘᲓᲕᲔᲚᲘ ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲔᲡ

**მომხმარებელ Ო. ᲝᲥᲠᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ გამოსვლიდან**

ჩემს გამოსვლას რამდენიმე წინადადებით შემოვფარგლავ. დავიწყოთ მზა ტანსაცმლიდან. ჩვენში რატომღაც დაკანონდა, რომ ადგილობრივი სამკერვალო ფაბრიკების ნაწარმს აუცილებლად გარკვეული წუნი აქვს — ან ნაჭერი არ არის ხარისხიანი და გემოვნებით შეხამებული, ან ძველ ყაიდაზეა შეკერილი. მაგალითად, ახლა აღარავინ ატარებს წინ ნაოჭებიან შარვლებს, უკან ჯიბით. მაგრამ ასეთი ფასონის შარვლებს მაინც კერავენ.

არ იკერება მარტო პიჯაკი, რაზეც დიდი მოთხოვნილებაა.

ხშირად შეიმჩნევა დიდი ზომის ტანსაცმლის ნაკლებობა, ირღვევა სტანდარტი. ამის თავიდან ასაცილებლად კარგი იქნება უნივერმაღში, საერთოდ მზა ტანსაცმლით მოვაჭრე მაღაზიებში საქონელი იყიდებოდეს ნახევარფაბრიკატის სახით, ე. ი. შემოკეცილი არ იყოს სახელოები, შარვლის ტოტები.

მაღაზიას უნდა ჰყავდეს მკერავი, რომელიც მომხმარებელს ტანზე მოარგებს საქონელს.

უნდა ვუსაყვედუროთ სავაჭრო დარგის მუშაკებს მამაკაცის კარგი ხარისხის, გემოვნებით გაფორმებული ჰალსტუკების უქონლობა. ფართო ასორტიმენტით არ არის აგრეთვე ქუდები. დაბალი ხარისხისაა მამაკაცის წინდები. ძნელი საშოვნია ოთახის ტყავისძირიანი ფეხსაცმელი. ყოველივე ამის მოგვარება არც თუ ისე ძნელი საქმეა და კიდეც უნდა მოგვარდეს, მაღაზიიდან მყიდველი კმაყოფილი უნდა გამოვიდეს.

## ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲗ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

**მთავარკულტვაჭრობის საქართველოს ბაზის მმართველის მოადგილის Გ. ᲨᲐᲮᲑᲐᲖᲝᲕᲘᲡ გამოსვლიდან**

საბჭოთა სახელმწიფო დიდძალ თანხებს ხარჯავს ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისათვის. განუხრელად მატულობს ფიზკულტურული კოლექტივების, სპორტულ სექციებში მომეცადინეთა რიცხვი, შესაბამისად იზრდება მოთხოვნილებანი სპორტულ საქონელზე. რესპუბლიკის ქალაქების სავაჭრო ორგანიზაციებს სპორტული საქონლით ამარაგებს მთავარკულტვაჭრობის საქართველოს ბაზა.

წლითიწლობით დიდდება სავაჭრო ქსელისათვის სპორტული საქონლის მიწოდება, ფართოვდება ასორტიმენტი, უმჯობესდება ხარისხი. შარშან რესპუბლიკაში დიდი მოთხოვნილება იყო მაგიდის ჩოგბურთის ბურთებზე. ჩვენ გავითვალისწინეთ ეს და ერთიორად გავადიდეთ სავაჭრო ქსელისათვის ბურთების მიწოდება. ასევე ითქმის სხვა სახის სპორტულ საქონელზეც. მაღაზიებში გამოჩნდა ბევრი ისეთი სპორტული საქონელი, რომელიც ადრე არ იყიდებოდა.

მაგრამ სპორტული საქონლით ვაჭრობაში სერიოზული ნაკლოვანებებიც არის. თბილისში ამ ასორტიმენტის საქონლით მხოლოდ ორი სპეციალიზებული მაღაზია ვაჭრობს, რომლებსაც მეტად ვიწრო, შეუფერებელი სავაჭრო დარბაზები აქვთ. ეს უარყოფითად მოქმედებს ვაჭრობის კულტურაზე. სპორტული ინვენტარის დიდი ნაწილი უადგილობის გამო მაღაზიების საწყობებში არის ჩაკეტილი, ამიტომ მომხმარებლებს ხელი ეშლებათ მათს შეძენაში. ამ საქმეს ყურადღება უნდა მიექცეს. დროა გავაფართოოთ სპეციალიზებული ვაჭრობის ქსელი ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში, კარგად მოვაწყოთ სპორტული საქონლით მოვაჭრე მაღაზიები.

ძალიან ხშირად ფიზკულტურულ-სასპორტო ორგანიზაციები ვერ ახერხებენ სპორტული ფორმის, ინვენტარის შესაძენად გამოყოფილი თანხების ათვისებას. მეტწილად ეს გამოწვეულია სპორტული საქონლით ვაჭრობის მოუწესრიგებლობით. საქმე ის არის, რომ მაღაზიები სპორტული საქონლის გადარიცხვით ვაჭრობას აწარმოებენ ლიმიტით. ამიტომ მაღაზიებში ზოგჯერ ჩაწოლილია ხელზე გასაყიდი ბევრი ისეთი საქონელი, რომელზეც დიდი მოთხოვნილებაა ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებში. ამ ორგანიზაციებს არ შეუძლიათ საქონლის შეძენა ნაღდ ანგარიშზე, გადარიცხვით ვაჭრობის ლიმიტი კი მაღაზიებს ამოწურული აქვთ. საჭიროა ეს საკითხი საფუძვლიანად შეისწავლონ ვაჭრობის მუშაკებმა და სათანადო ზომები მიიღონ, რომ შეუფერხებლად დავაკმაყოფილოთ ჩვენი ახალგაზრდობის მოთხოვნილებანი სპორტულ საქონელზე.

## ᲒᲐᲕᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲗ ᲬᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲔᲑᲡ

★

**თბილისის უნივერმაღის დირექტორის Პ. ᲙᲘᲚᲐᲡᲝᲜᲘᲐᲡ გამოსვლიდან**

★

უკანასკნელი წლების განმავლობაში თბილისის უნივერმაღის კოლექტივმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მუშაობა, გაიზარდა საქონელბრუნვა, ამაღლდა კულტურული ვაჭრობის დონე. მიმდინარე წლის პირველი კვარტალის მაჩვენებლების მიხედვით ჩვენს კოლექტივს მესამედ ზედიზედ მიენიჭა სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს და სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი პრემია.

1958 წლის ხუთ თვეში 1957 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 28 მილიონი მანეთით მეტი ღირებულების საქონელი იქნა რეალიზებული. ეს განაპირობა ვაჭრობის პროგრესული მეთოდების დანერგვამ. უნივერმაღში მოწყობილ იქნა საქონლის უგამყიდველო და ღია გამოფენით ვაჭრობა. დიდი ეფექტი მოგვცა სალაროების გაუქმებამ. სავაჭრო ფართობი ახლა მაქსიმალურად არის გამოყენებული, ამასთან მნიშვნელოვნად შემცირდა საქონლის შესაძენად მომხმარებელთა მიერ დახარჯული დრო. გამოანგარიშებამ გვიჩვენა, რომ ახლა უნივერმაღის მომხმარებლები საქონლის შესაძენად დღეში 1.500 საათით ნაკლებ დროს ხარჯავენ, ვიდრე სალაროების აღებამდე ხარჯავდნენ.

მაგრამ მომხმარებელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საქმეში ჩვენს კოლექტივს ბევრი ხარვეზი და ნაკლოვანება აქვს, ხშირად მომხმარებელი უკმაყოფილო გადის მაღაზიიდან.

მართალია, საქონელბრუნვის გეგმის შესრულება მთავარი საკითხია, მაგრამ ისიც მართალია, რომ მომხმარებელი სავაჭრო ორგანიზაციის მუშაობას აფასებს არა გეგმების შესრულების მაჩვენებლებით, არამედ იმით, თუ როგორ მოემსახურნენ მას, ამ მხრივ ჩვენ ყველაფერი რიგზე არა გვაქვს, როგორც აქ გამოსულმა მომხმარებლებმა აღნიშნეს, უნივერმაღში ხშირად არ არის გასაყიდად გამოტანილი ბავშვის ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და ფართო მოხმარების სხვა საქონელი.

ადგილობრივი მრეწველობის და სარეწაო კოოპერაციის საწარმოები სავაჭრო ქსელში გზავნიან დაბალი ხარისხის საქონელს. ეს განსაკუთრებით ითქმის ავეჯზე, ტრიკოტაჟის ნაწარმზე, ფეხსაცმელზე, საგალანტერეო საქონელზე. დაბალხარისხოვანი საქონლის მოწოდებისათვის ჩვენ ვაჯარიმებთ მომწოდებლებს, მაგრამ მომწოდებლისათვის ჯარიმის გადახდევინება არავითარ შეღავათს არ აძლევს მომხმარებელს, რომელმაც დაბალხარისხოვანი საქონელი შეიძინა; ეს საკითხი ღრმა და გულისხმიერ შესწავლას მოითხოვს.

მომხმარებლები სამართლიანად გვისაყვედურებენ, რომ ბევრი „წვრილმანი" საქონელი, თუნდაც ბავშვების სათამაშოები, სამეურნეო და საოჯახო მოხმარების საქონელი, რომელსაც ჩვენი საწარმოები არ ამზადებენ, ნაკლებად შემოგვაქვს სხვა რესპუბლიკებიდან. უნივერმაღის კოლექტივი გაითვალისწინებს ამ მოთხოვნას. საქმისათვის ძალიან კარგი იქნება, თუ ამ სამართლიან მოთხოვნას სათანადო ანგარიშს გაუწევენ აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის საწარმოები, რომლებსაც ყველა შესაძლებლობა აქვთ ფართო ასორტიმენტით გამოუშვან სამეურნეო და საოჯახო მოხმარების საქონელი.

ჩვენ, ვაჭრობის მუშაკები, მოვალენი ვართ უფრო ახლო ვიდგეთ მომხმარებლებთან, უფრო დაუღალავად ვიზრუნოთ მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის, უნივერმაღის კოლექტივი გაითვალისწინებს აქ წამოყენებულ პრეტენზიებს, წინადადებებს და ყოველ ღონეს იხმარს მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესებისათვის.



25 რაციონალიზატორული წინადადება შეიტანა წელს თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის ნოვატორმა ზეინკალ-ამწყობმა შოთა ფირცხალავამ. მის მიერ შეტანილ წინადადებათა დიდი ნაწილი უკვე დანერგილია წარმოებაში.

სურათზე: თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის ნოვატორი შ. ფირცხალავა. ფოტო ხ. ონანოვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

## ᲔᲠᲗᲪᲕᲚᲐᲓ ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲐᲖᲔ

ᲗᲔᲚᲐᲕᲘ. (საკ. კორ.). რაიონის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენელთა და განათლების მუშაკთა თათბირი მიეძღვნა ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საკითხებს და სკოლების ერთ ცვლად მეცადინეობაზე გადაყვანის ღონისძიებებს.

მომხსენებელმა პარტიის რაიკომის მდივანმა ნ. მალუძემ თათბირის მონაწილეებს დაწვრილებით გააცნო ქობულეთელთა მიმართვა — გადავიყვანოთ ყველა სკოლა ერთ ცვლად მეცადინეობაზე.

— შარშან, — თქვა ნ. მალუძემ, — თელავის რაიონის მშრომელებმა ბევრი რამ კარგი გააკეთეს სკოლებისათვის სათანადო მატერიალური ბაზის შესაქმნელად. ართანის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ სკოლას გადასცა ახლად აგებული 12-ოთახიანი შენობა. სანიორის კოლმეურნეობა „პირველმა მაისმა" სკოლას რვა საკლასო ოთახი შემატა. გარდა ამისა, ააგეს სპორტული დარბაზი. სასკოლო შენობებს საკლასო ოთახები შემატეს ქვემო ხოდაშნის, კურდღელაურის, ფშაველის და სხვა კოლმეურნეობებმა. რაისაბჭოს აღმასკომის სამრეწველო კომბინატმა თელავის მეოთხე საშუალო სკოლას მოუწყო სადურგლო და საზეინკლო სახელოსნოები, თელავის ფიქალფხვნილის ქარხანამ პირველ საშუალო სკოლას ორი სახელოსნო და ერთი კეთილმოწყობილი სასპორტო მოედანი შემატა. ეჭვი არ არის, რომ რაიონის მშრომელები წელს უფრო მეტს გააკეთებენ ახალი სასწავლო წლისათვის უნაკლოდ მომზადების და ყველა სკოლაში ერთ ცვლად მეცადინეობაზე გადასვლის უზრუნველსაყოფად.

კომკავშირის რაიკომის მდივანმა მ. მეზვრიშვილმა თათბირის მონაწილეებს აღუთქვა, რომ კომკავშირული ყულაბიდან წელს 150 ათას მანეთზე მეტს დახარჯავენ სკოლების მატერიალური ბაზის გასამტკიცებლად.

ნაფარეულის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის მოადგილემ ქ. ხომიზურმა იკისრა წელს სკოლას გადასცეს ათოთახიანი შენობა, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება ერთ ცვლად მეცადინეობაზე გადასვლა.

სიტყვებით გამოვიდნენ და ვალდებულებები აიღეს თელავის მეხუთე საშუალო სკოლის დირექტორმა დ. ბოჭორიძემ, თელავის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ გ. ჯაშიაშვილმა, კურდღელაურის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გ. ცხადაძემ, აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის დირექტორმა შ. ყარაულაშვილმა და სხვებმა. რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ალ. ბატიაშვილმა ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რომლებიც უნდა განხორციელდეს ყველა სკოლის ერთ ცვლად მეცადინეობაზე გადასაყვანად.

სიტყვით გამოვიდა აგრეთვე გულგულის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ივ. მახნიაშვილი.

თათბირმა ქობულეთელთა მიმართვის პასუხად გადიდებული ვალდებულებები აიღო.

ნაკისრ ვალდებულებათა საპატიოდ შესრულებისათვის ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება კოლმეურნეობებს, საწარმოებსა და სკოლებს შორის.

**Ს. ᲥᲝᲩᲚᲐᲫᲔ.**

## ᲛᲐᲕᲜᲔ ᲒᲐᲓᲛᲝᲜᲐᲨᲗᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი ახალგაზრდობის აღზრდა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის უდიდესი ამოცანაა. სწავლასა და შრომას დაწაფებულ საბჭოთა ახალგაზრდობას თავისი ღირსეული წვლილი შეაქვს ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საქმეში.

მაგრამ, სამწუხაროდ, შესანიშნავი ახალგაზრდობის გვერდით ჯერ კიდევ არიან ზნეობრივად დაცემული ადამიანები, რომლებიც არცხვენენ საბჭოთა ახალგაზრდის სახელს, უხეშად არღვევენ ქცევის ყოველგვარ ნორმებს, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს.

ამ დანაშაულობათა ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია სერიოზული სენი — ლოთობა. ცოტა როდია შემთხვევა, რომ უგრძნობლად მთვრალი, ზოგჯერ კი ქუჩაში უპატრონოდ მიგდებული ახალგაზრდა ქალაქის გამოსაფხიზლებელში ამოჰყოფს ხოლმე თავს.

— სადა ვარ? — იკითხავს გამოფხიზლებული და ვერ მოუსაზრებია, საიდან ან როგორ მოხვდა აქ.

„ღვინოს დაუმეგობრდები — ნამუსს დაემშვიდობებით", — ამბობს ქართული ანდაზა. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ კაცმა ღვინო არ დალიოს. ღვინო სუფრის მშვენებაა, შნო და ლაზათია. იგი ამავე დროს საუკეთესო დიეტური და სამკურნალო სასმელიც არის. ანდაზაში ლაპარაკია ლოთობაზე, ალკოჰოლიზმზე — ავადმყოფობაზე, რომელიც მავნეა ადამიანისათვის, ზოგჯერ ჩვრად აქცევს, ზოგჯერ კი გააფთრებულ მხეცს ამსგავსებს მას.

ამას წინათ თბილისის მეტალურგიული ტექნიკუმის სტუდენტმა გიორგი მაქსიმენკომ, კომკავშირელმა ვიტალი სავიცკიმ, ალექსანდრე ხინგაიანთან და ოლეგ ტიუტიუნიკოვთან ერთად, ღვინის სმის შემდეგ, საბურთალოს აგურის ქარხნის ტერიტორიაზე ჩხუბი აუტეხეს მოქალაქეებს კუინცევს, გრიგორიანს და ორივე მძიმედ დაჭრეს.

4 აპრილს, ღამით, 1-ლი საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლემ ჯემალ კარაპეტიანმა გონება ღვინოს გაატანა. ტროლეიბუსში შესულს ღვინო და სისხლი ყელში მოაწვა და მოქალაქე ტერ-ოგანეზოვს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

ლოთობა ადამიანს უკარგავს ზრდილობას, თავმოყვარეობას, უფროსისადმი, ამხანაგისადმი, მეგობრისადმი პატივისცემის გრძნობას. აი ამის მაგალითიც: 4 აპრილს თბილისის მე-2 ავტოსატრანსპორტო კანტორის მძღოლებმა ვასილ მამულაშვილმა და რაფიელ [illegible] [illegible] ივახშმეს. ვიდრე ბახუსი თავისას [illegible], [illegible] ცებოდნენ, ნათქვამის [illegible] რებლად ეხვეოდნენ ერთმანეთს. მაგრამ დაიწყო სიმთვრალის მეორე ფაზა, და „მეგობრებიც" აიქოჩრნენ, ჯერ უცენზურო სიტყვები, შემდეგ კი მუშტებიც დაუშინეს ერთმანეთს. აი რად აქცია სიმთვრალემ მეგობრობის „ფიცი".

გონების ბანგმა — ლოთობამ ჩაადენინა სისხლის სამართლის დანაშაული თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმის მე-2 კურსის სტუდენტს კომკავშირელ ვასილ ედიშერაშვილს, მის ძმას ტარიელს, მე-7 სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეს კომკავშირელ სპარტაკ ედიშერაშვილს, რომლებმაც უსაფუძვლოდ აუტეხეს ჩხუბი მოქალაქეებს აფაქიძეს, ტაგირ მუსაოღლის და ცივი იარაღით ორივე მძიმედ დაჭრეს.

მთელი ახალგაზრდობის გულისწყრომას იმსახურებს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტის კომკავშირელ ვლადიმერ აგიევის ავკაცობა. ლოთობით გატაცებულს მრავალი ინციდენტი მოუხდენია, მაგრამ ბევრჯერ „შერჩა". ერთ დღეს კი მილიციის ორგანოების წინაშე წარსდგა. 27 მაისს მან ზომაზე მეტი დალია. მთვრალი სტუდენტთა ქალაქში შეიჭრა და უმიზეზოდ აგინა მებაღეობა-მევენახეობის ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტს იური ლაშქარაშვილს. სტუდენტებმა წესრიგისაკენ მოუწოდეს მას. მაგრამ განრისხებულმა აგიევმა ცივი იარაღით გულმკერდის არეში რამდენიმე მძიმე ჭრილობა მიაყენა სტუდენტ გ. წერედიანს. რამდენჯერმე ჩასცა დანა აგრეთვე სტუდენტებს მამია ერქომეიშვილს, უშანგი კვანტალიანს, ამირან ბაჯელიძეს და ქუჩაში მიმავალ მოქალაქეს აკაკი ჩიტაძეს.

აი სადამდე მიჰყავს ზოგიერთი ახალგაზრდა ლოთობას, უბნევს გზა-კვალს, სამუდამო დაღს ასვამს მის ცხოვრებას.

სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევები ერთეული როდია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ზოგიერთი საწარმო-დაწესებულების პირველადი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები არადამაკმაყოფილებლად წარმართავენ ახალგაზრდებს შორის მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას, მსჯელობის საგნად არ ხდიან მათ მიერ ჩადენილ ამორალურ საქციელს.

ლოთობა აბნელებს ადამიანის გონებას, მოლიპულ გზაზე აყენებს ბევრ ახალგაზრდას. ამიტომ სასტიკად უნდა ვებრძოლოთ მას.

**Ჰ. ᲮᲕᲐᲓᲐᲫᲔ.**

## ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲡ ᲔᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲘᲐᲜ

უკანონოდ ჩამომართვეს საკარმიდამო ნაკვეთი, — ჩიოდა რედაქციისათვის გამოგზავნილ წერილში ბორჯომის რაიონის სოფელ დიდი ახალდაბის მცხოვრები ხონია მიხეილის ასული ჩადუნელი.

პარტიის ბორჯომის რაიკომიდან, სადაც წერილი ზომების მისაღებად გაიგზავნა, გვატყობინებენ, რომ მოქ. ხ. მ. ჩადუნელის საჩივარი სამართლიანია. რაიკომმა კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების წინაშე დააყენა საკითხი ხ. მ. ჩადუნელისათვის უკანონოდ ჩამორთმეული საკარმიდამო ნაკვეთის დაბრუნების შესახებ.

• • •

გეგეჭკორის რაიონის მეთვრამეტე პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის ღვინის სავაჭროში, რომელიც გახსნილია სოფელ ნახურცილოუში, გამყიდველი გ. ჯავახია სისტემატურად არღვევს ვაჭრობის წესებს: წერტში შემოაქვს უფაქტურო ღვინო, თანაც ზედმეტ ფასებში ჰყიდისო, — გვწერდა სოფლკორი.

წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა გეგეჭკორის რაიონის მილიციის განყოფილებას, საიდანაც გვატყობინებენ, რომ წერილში მოყვანილი ფაქტი დადასტურდა. გამყიდველი გ. ჯავახია მიცემულია პასუხისგებაში.

### ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ 1500 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

## ᲦᲕᲐᲬᲚᲛᲝᲡᲘᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲙᲚᲣᲑᲘ

პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბის ისტორია თუ შეისწავლა კაცმა, ეს იმას ნიშნავს, რომ მან იმ რაიონის — ნაძალადევის წარმოშობისა და იქ დასახლებულ რკინიგზელ მუშათა სახელოვანი ისტორიაც იცის, რადგან ეს კლუბი თავიდანვე პირველ ქართველ მოწინავე მუშათა რაზმის თავისებურ საბრძოლო შტაბს წარმოადგენდა.

როგორც ირკვევა, ასეთი კლუბისა თუ შტაბის დაარსების აზრი ჯერ კიდევ 1897 წელს ჩაისახულა. კლუბი პირველ ხანებში, რა თქმა უნდა, დრამატული დასის თავშესაფრის ადგილს წარმოადგენდა. დასის მუშაობით განისაზღვრებოდა კლუბის საქმიანობა, აქ მართავდნენ ხალხის გამოსაფხიზლებლად რევოლუციური შინაარსის წარმოდგენებს. ამის პირველ წამომწყებად ძველი მუშები ქართველ საზოგადო მოღვაწეს გრიგოლ ჩარკვიანს ასახელებენ.

შემდეგში კლუბთან ყალიბდება ქართული სიმღერების გუნდი ეფრემ ჩიკვაიძის ხელმძღვანელობით. — აქ ვიკრიბებოდით მთავარი სახელოსნოს მუშები და ვსწავლობდით „მარსელიოზას", რომ დემონსტრაციებზე გამოსვლის დროს გვემღერნა, — იგონებს მთავარი სახელოსნოს ძველი მუშა, ამ კლუბის ქართული დრამატული წრის მუდმივი წევრი, ამჟამად პენსიონერი გაბო გაბინაშვილი.

და ბევრ სხვა რამესაც იგონებენ მუშები. მაგრამ მათი მოგონებიდან მთავარი ის არის, რომ იმ შენობის აგება, რომელშიც დღეს პლეხანოვის სახელობის კლუბია მოთავსებული, მხოლოდ ცარიზმის დამხობის შემდეგ შეძლეს რკინიგზელმა მუშებმა და მიმდინარე წლის სექტემბერში ამ შენობის აგების მეორმოცე წლისთავის სადღესასწაულოდ ემზადებიან.

ცამეტი სხვადასხვა წრე არსებობს ამჟამად კლუბთან. ამ წრეებში მშრომელები და მათი ოჯახის წევრები არიან გაერთიანებულნი. კლუბში სამი დრამატული წრეა — ქართული, რუსული და ოსური.

უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთ ოსეთის სტალინირის სახელმწიფო თეატრი ძირითადად პლეხანოვის სახელობის კლუბთან არსებულ ოსურ დრამატულ წრეში აღზრდილთაგან არის დაკომპლექტებული. უფრო მეტი ითქმის თბილისის რუსულ მოზარდ მაყურებელთა თეატრის შესახებ. მას მთლიანად ნაძალადევის „ხანრგე" ამარაგებს ახალგაზრდა მსახიობებით. ხოლო რაც მთავარია, ამ კლუბისაგან დიდად დავალებულია ქართული კულტურისა და ხელოვნების ყველა დარგი. აქ მრავალი გამოჩენილი ხელოვანი აღიზარდა და ეს კლუბი დღესაც თავიანთ აკვნად მიაჩნიათ.

ვის არ ახსოვს ქართველი ხალხის საყვარელი მსახიობები: ელისაბედ ჩერქეზიშვილი და ნიკო გოცირიძე. მათ ხომ ამ კლუბთან არსებულ დრამატულ წრეში მიიღეს პირველი სასცენო ნათლობა, ხოლო შემდეგ სიკვდილამდე არ დავიწყებიათ თავიანთი საყვარელი აკვანი. მიუხედავად იმისა, რომ მათ ფართოდ გაშალეს ფრთები და ორივემ დიდი მანძილი გაიარა მუშათა კლუბიდან სახელმწიფო თეატრამდე, ისე სათეატრო სეზონი არ გავიდოდა, რომ ერთი ორჯერ მაინც არ ეთამაშნათ პირვანდელ აუდიტორიებში, რამე სახასიათო როლი არ შეესრულებინოთ და არ მოესმინოთ მშობლიური დაკოჟრებული ხელების ნაცნობი ტაშისცემა.

განა ამავე კლუბმა არ გამოზარდა ჩვენი უაღრესად ნიჭიერი მსახიობები — ვასო გოძიაშვილი, თამარ ციციშვილი, მედეა ჯაფარიძე და სხვ.

ამავე კლუბთან არსებული ქართული დრამატული წრის რეჟისორმა და მომღერალმა — არჩილ მაჩაბელმა ხომ პირველად აქ შედგა ფეხი სცენაზე, მომღერალი ქეთევან ლოლობერიძეც ამ ბუდიდან არის წამოფრენილი. ასევეა თბილისში არსებული მომღერალთა გუნდების შემადგენლობის უმრავლესობა.

ასევე ითქმის ქართველ მოცეკვავეთა შესახებ. ილიკო სუხიშვილის საქვეყნოდ სახელმოხვეჭილი გუნდის ათ წევრს პლეხანოვის სახელობის კლუბში აქვს ცეკვა ნასწავლი. ესენი არიან გიორგი სიმონიშვილი, ივანე მერაბიშვილი, ოთარ კალანდაძე, მიხეილ ბახტაძე, ოთარ არჩვეანიძე, გივი ბოჭორიშვილი, თამაზ ტალახაძე, ნოდარ გიორგაძე, ჯემალ გეგუჩაძე და მიხეილ მაისურაძე.

აღარაფერს ვიტყვით კლუბთან არსებული სამკითხველოს შესახებ, რომლის ისტორია 1904 წლიდან იწყება. ამჟამად მის თაროებზე 22.000 წიგნია, რა თქმა უნდა, ამ ხნის განმავლობაში სამკითხველოს მიერ მშრომელებისათვის გაწეული მომსახურება არავითარი ციფრებით არ შეიძლება გამოიხატოს.

საერთოდ კლუბის მუშაობაზე რომ სწორი შეხედულება ვიქონიოთ, საჭიროა ჩვენს მკითხველებს ერთი რამ ვუთხრათ: ლენინის რაიონის მცხოვრები სადამოთი სამუშაო ტანისამოსს რომ გამოიცვლის და თავის ოჯახის წევრს ეტყვის, ნაძალადევში წავიდეთო, განმარტება აღარ არის საჭირო, ეს იმას ნიშნავს, რომ მას პლეხანოვის სახელობის კლუბში პატიჟობენ. ასე გაუთანაბრდა სიმბოლურად ეს შედარებით პატარა ადგილი თბილისის ყველაზე დიდ სამრეწველო უბანს — ლენინის რაიონს და იქ მცხოვრებთა გაგებით ნაძალადევი ორ რამესა ჰქვიან — პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბს და მთელ იმ რაიონს. ეს კი ადვილი როდი იყო. ასეთი კლუბის მუშაობის გადაჭარბებით შეფასება შეუძლებელია.

**Ს. ᲘᲝᲠᲐᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ.**

კომუნისტი

სამშაბათი, 1 ივლისი, 1958 წ. № 148 (11152)

## სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის სხდომა

პეკინი, 29 ივნისი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, დღეს აქ გაიმართა სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის სხდომა, რომელზეც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მოიწვიონ სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა მეორე მოწვევის კრების პირველი სესია 1959 წლის იანვარში.

სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა პირველი მოწვევის კრების დეპუტატების რწმუნებათა ვადა, რომლებიც არჩეული არიან 1954 წელს, გადის მიმდინარე წლის ბოლოს. სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა მეორე მოწვევის კრების არჩევნები უნდა დამთავრდეს მიმდინარე წლის ოქტომბრამდე.

## ვალტერ ულბრიხტს მიენიჭა „შრომის გმირის წოდება“

ბერლინი, 30 ივნისი. (საკდესი). როგორც ადნის სააგენტო იუწყება, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვილჰელმ პიკმა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანსა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ვალტერ ულბრიხტს მისი დაბადების 65 წლისთავთან დაკავშირებით მიანიჭა „შრომის გმირის“ საპატიო წოდება.

ვალტერ ულბრიხტს ეს მაღალი ჯილდო მეორეჯერ მიენიჭა. იგი დაჯილდოებულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის წინადადებით გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალიზმის მშენებლობაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის.

პრეზიდენტმა ვილჰელმ პიკმა მიიღო გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვალტერ ულბრიხტი და ჯილდო გადასცა მას. ვილჰელმ პიკსა და ვალტერ ულბრიხტს ხანგრძლივი საუბარი ჰქონდათ.

## ჰეიტსკელის გამოსვლა რადიოთი

ლონდონი, 29 ივნისი. (საკდესი). ინგლისის ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა ჰეიტსკელმა, სიტყვა წარმოთქვა რა რადიოთი, განაცხადა: „ჩვენ გვაწუხებს მდგომარეობა ლიბანში, კვიპროსზე თავმოყრილია კოლოსალური ძალები. მთავრობამ უარყო ცნობა იმის შესახებ, რომ აპირებენ ამ ჯარების გამოყენებას ლიბანში, მაგრამ სუეცის არხის ზონაში მომხდარი ამბების შემდეგ ჩვენ არ უნდა გვსაყვედურონ, რომ შეშფოთებას განვიცდით“.

„ჩვენი მხრივ, — ხაზგასმით აღნიშნა შემდეგ ჰეიტსკელმა, — დიდი უგუნურება იქნებოდა ჩარევა იმ მიზნით, რომ ხელისუფლების სათავეში დარჩეს რომელიმე მთავრობა შუა აღმოსავლეთში. თუ ინგლისის და ამერიკის ჯარები გადასხეს ლიბანში, ეს მეტად სერიოზულ გამოხმაურებას პოვებს მთელ შუა აღმოსავლეთში“.

ილაპარაკა რა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობაზე, ჰეიტსკელმა განაცხადა, რომ იგი შეეცდებოდა საბჭოთა კავშირთან რაიმე შეთანხმების მიღწევას. საბჭოთა კავშირმა, თქვა მან, შეწყვიტა წყალბადის ბომბების გამოცდა, და ამიტომ ადვილად შეიძლება შეთანხმების მიღწევა გამოცდის შეწყვეტის შესახებ. მან თქვა, რომ სურს მიღწეულ იქნას რაიმე შეთანხმება ევროპაში ჯარების ურთიერთგაყვანის შესახებ. ეს ორი საკითხი, ჰეიტსკელის აზრით, შეიძლება პირველ რიგში შეტანილ იქნას უმაღლეს დონეზე მოლაპარაკების დღის წესრიგში.

## ამერიკელთა უმსგავსობა გრძელდება

ბერლინი, 29 ივნისი. (საკდესი). ადნის სააგენტო იუწყება ამერიკის არმიის სამხედრო მოსამსახურეთა ახალ ხულიგნურ გამოხდომებს დასავლეთ გერმანიაში. ნოი-ულმუში (ბავარიის მხარე) ამერიკელ ჯარისკაცთა ჯგუფი თავს დაესხა დასავლეთგერმანელ პოლიციელებს. სამი პოლიციელი დაიჭრა. ამერიკელები მხოლოდ მას შემდეგ დააკავეს, რაც შემთხვევის ადგილას პოლიციის ახალი რაზმი მივიდა.

გისენის რაიონში (ჰესენის მხარე) ტაქსის შოფერს მგზავრობის დროს თავს დაესხა ორი ამერიკელი ჯარისკაცი, რომლებმაც თავი გაუტეხეს მას და სხვა ჭრილობები მიაყენეს. ორმა ამერიკელმა ჯარისკაცმა ლანდშტულში (რაინლანდ-პფალცის მხარე) სცემა ერთ-ერთი რესტორანის პატრონს.

## მშვიდობისათვის, დამოუკიდებელი პოლიტიკისათვის, შრომის უფლებისათვის

### მასობრივი დემონსტრაცია და მიტინგი ლონდონში

ლონდონი, 29 ივნისი. (საკდესი). დღეს ნაშუადღევს ლონდონში გაიმართა მშრომელთა დემონსტრაცია ინგლისელი ხალხის მშვიდობის, დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკისა და ცხოვრების უფლებათა დასაცავად. ასეთი დიდი დემონსტრაცია არ ყოფილა ამ უკანასკნელ წლებში.

კომუნისტური პარტიის მოწოდებას, რომელმაც ეს დემონსტრაცია მოაწყო, გამოეხმაურა ათი ათასობით ინგლისელი ინგლისის სხვადასხვა კუთხეში. დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის დედაქალაქში სპეციალურად ჩამოვიდნენ 600-ზე მეტი ქალი და კაცი შოტლანდიიდან, იორკშირისა და დიდი ბრიტანეთის სხვა რაიონების სამრეწველო ქალაქების ასობით წარმომადგენელი. განსაკუთრებით კარგი სანახავი იყო უელსელ მაღაროელთა კოლონა. ისინი დემონსტრაციაზე გამოვიდნენ მეშახტეთა ჩაჩქნებით, ხოლო მათი ცოლები— ლამაზი ეროვნული კოსტიუმებით მორთულნი.

დემონსტრაციის მონაწილენი შეიკრიბნენ ჰაიდ-პარკის მწვანე მინდორზე, კოლონებად დაეწყვნენ და ომის საწინააღმდეგო სიმღერებით, იმეორებდნენ რა ლოზუნგებს მშვიდობისა და შრომის უფლების დასაცავად, დედაქალაქის ცენტრალური ქუჩებით გაემართნენ ტრაფალგარის მოედნისაკენ მასობრივ მიტინგზე. კოლონების თავზე ზაფხულის მზის კაშკაშა სხივებში ფრიალებდნენ ლოზუნგები და პლაკატები, რომლებზეც წარწერილი იყო ომის გამჩაღებელთა დაგმობის მრისხანე სიტყვები. ლოზუნგები მოითხოვდნენ: „გაგზავნეთ ამერიკელები შინ!“, „მოხდეს ამერიკის ბაზების ლიკვიდაცია!“, „შეწყდეს წყალბადის იარაღის გამოცდა!“, „შეწყდეს კოლონიური ომები“, „დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება უმაღლეს დონეზე!“.

დემონსტრანტების კოლონები შევიდნენ ტრაფალგარის მოედანზე — მასობრივი მიტინგების ტრადიციულ ადგილზე. ადმირალ ნელსონის კოლონის გრანიტის კვარცხლბეკზეა მიტინგის პრეზიდიუმი. აქ არიან ინგლისის მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეები, მშვიდობისათვის მებრძოლი ბევრი საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები.

შეკრებილთა წინაშე ვრცელი და მკაფიო სიტყვა წარმოთქვა დიდი ბრიტანეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ჯონ გოლანმა, რომელმაც ინგლისელ ხალხს მოუწოდა „დაიცვას ინგლისის დამოუკიდებლობა დალესისა და ამერიკელი ომის გამჩაღებლების ხელყოფისაგან“. გოლანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახლანდელი დაძაბულობა საერთაშორისო ურთიერთობაში ლოგიკური შედეგია „სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ იმ მტრული, აგრესიული პოლიტიკისა, რომელსაც ამერიკელი მილიონერები ახორციელებენ და ინგლისელი კონსერვატორები მხარს უჭერენ“. საფრთხის ახლანდელი კერები, აღნიშნა შემდეგ ორატორმა, იქ არის, სადაც ამერიკელ, ინგლისელ და ფრანგ იმპერიალისტებს სურთ სამუდამო გახადონ თავიანთი ბატონობა. ამას, თქვა გოლანმა, უნდა დაემატოს „ინგლის-ამერიკის უგუნური მზადება ატომგულის ომისათვის, მზადება, რომლის მსვლელობაში დასავლეთ გერმანიაც ახლა ატომგულის იარაღს იღებს“.

გოლანმა მოუწოდა ინგლისელ ხალხს ხელი შეუშალოს იმპერიალისტებს გააჩაღონ ლიბანის წინააღმდეგ აგრესია, რასაც ისინი ამზადებენ. „ჩვენ, — თქვა მან, — განგაში უნდა ავტეხოთ. არც ერთი ადამიანი, არც ერთი შაშხანა ლიბანის წინააღმდეგ. დარაზმეთ მთელი ძალები ამ დანაშაულობის წინააღმდეგ საბრძოლველად“.

ილაპარაკა რა შემდეგ უმაღლეს დონეზე თათბირის მოწვევის საკითხზე, გოლანმა განაცხადა: „დალესსა და მაკმილანს არა სურთ თათბირი უმაღლეს დონეზე. ჟენევაში ექსპერტთა თათბირის წინ, რომელსაც უნდა შეემუშავებინა გამოცდის შეწყვეტისადმი კონტროლის საშუალებანი, როგორც შეერთებულმა შტატებმა, ისე ინგლისმა განაცხადეს, რომ განაგრძობენ გამოცდის წარმოებას და ატმოსფეროს მოწამვლას. ასეთია მათი პასუხი საბჭოთა კავშირის მიერ გამოცდის შეწყვეტაზე. ომის მზადება დასავლეთის სახელმწიფოებს იმისათვის ესაჭიროებათ, რომ განამტკიცონ თავისი მერყევი სისტემა, რომელიც კრიზისს განიცდის“.

გოლანმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის მთელი ძალების დარაზმვას მშვიდობისათვის, დიდი ბრიტანეთის დამოუკიდებლობისა და მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკისათვის ბრძოლაში. „ჩვენ, — თქვა გოლანმა, — ვაფრთხილებთ ყველა ლეიბორისტ მშრომელს სერიოზული საფრთხის გამო, რომელიც მათს მოძრაობას მოელის. კონსერვატორები, დალესი და მემარჯვენე ლეიბორისტი ლიდერები განზრახ იყენებენ უნგრეთის ამბებს, რათა მოსპონ უმაღლეს დონეზე მოლაპარაკების ყოველგვარი შესაძლებლობა, ჩაიდინონ აგრესია ლიბანის წინააღმდეგ და შექმნან საფრთხე მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის“.

გააკრიტიკა რა ლეიბორისტული და პროფკავშირული მოძრაობის მემარჯვენე ლიდერები იმის გამო, რომ ისინი ფაქტიურად საბოტაჟს უწევენ მშვიდობისათვის აქტიურ და მტკიცე ბრძოლას, გოლანმა განაცხადა, რომ ასეთი პოლიტიკა ხელსაყრელია მხოლოდ ომის გამჩაღებლებისათვის. მან მოუწოდა მთელ ძალებს ერთიანობისაკენ საერთო ინტერესებისათვის — მშვიდობისათვის, ცხოვრებისა და მუშაობის უფლებისათვის ბრძოლაში, ინგლისის მუშათა კლასზე კაპიტალის გაძლიერებული შეტევის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მიტინგზე გამოვიდნენ სხვა ორატორები, რომლებიც აგრეთვე მოუწოდებდნენ გააძლიერონ ბრძოლა მშვიდობისათვის, ინგლისის დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკისათვის, ინგლისელი ხალხის მასების ცხოვრების დონის ამაღლებისათვის.

## ს პ ო რ ტ ი ს ა მ ბ ე ბ ი

### ზეიმი სტადიონზე

გასული სპორტული კვირადღე თბილისში მჩქეფარე, მრავალფეროვანი და მიმზიდველი იყო. თითქმის ყველგან — მოედნებზე, სტადიონებსა და სასპორტო ბაზებზე იგრძნობოდა სიახლე, გამოცოცხლება. ეს იყო ჩვენი ბედნიერი ახალგაზრდობის, სპორტსმენთა ნამდვილი ზეიმი.

ამ დიდ ზეიმს დაემთხვა მიმდინარე სასპორტო სეზონის ერთ-ერთი საინტერესო და მასობრივი ასპარეზობა — აზერბაიჯანის, სომხეთის, მოლდავეთისა და საქართველოს სსრ სტუდენტთა ზონალური შეჯიბრება.

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქს სტუმრად ეწვივნენ მოძმე რესპუბლიკების ხალხთა საუკეთესო წარმომადგენლები—შრომაში, სწავლასა და სპორტში წარჩინებული ასობით ახალგაზრდა, სტუდენტი. ისინი აქ ჩამოვიდნენ იმისათვის, რომ ცხადყონ თავიანთი ოსტატობა, გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება, ახალი წარმატებებით ასახელონ სამშობლო.



ლამაზად გამოიყურებოდა ამ დღეს თბილისის „დინამოს“ სტადიონი, სადაც საზეიმოდ გაიხსნა ამიერკავკასიისა და მოლდავეთის სტუდენტთა ზონალური შეჯიბრება.

სტუდენტებს მიესალმა საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი გ. გეგეშიძე. ალამი აღმართეს მოწინავე სპორტსმენებმა. ჟღერს სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნი.

29 და 30 ივნისს თბილისის სასპორტო ბაზებზე დაიწყო შეჯიბრება სტუდენტთა ასპარეზობის პროგრამით გათვალისწინებულ სპორტის თითქმის ყველა სახეობაში — მძლეოსნობაში, ძალოსნობაში, კრივში, კალათბურთში და სხვ.

სტარტზე არიან 100 მეტრზე ფინალური გარბენის მონაწილე ქალები. ფინიშთან პირველი მივიდა მოლდავეთის პედაგოგიური ინსტიტუტის მძლეოსანი ვ. მასლოვსკაია. დრო — 11,9 წამი. ამავე დისტანციაზე ვაჟთა შორის უძლიერესი იყო რ. ტრაპაიძე, რომელმაც მანძილი 10,8 წამში გაირბინა.

800 მეტრზე რბენაში პირველი ადგილები დაიკავეს: ქალთა შორის აზერბაიჯანელმა ნ. კოსარევამ (2 წუთი 16,6 წამი), ვაჟთა შორის — ვ. ივანოვმა (საქართველო, 1 წუთი 55,8 წამი). 5.000 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა საქართველოს მძლეოსანმა ა. სუხანოვმა.

სტუდენტთა ასპარეზობა გრძელდება.

სურათზე: ალამის აღმართვა.

### ბრაზილიის გუნდი მსოფლიო ჩემპიონია

დამთავრდა მსოფლიო პირველობის გათამაშება ფეხბურთში. როგორც ვიუწყებოდით, ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს ბრაზილიისა და შვეციის ეროვნულმა ნაკრებმა გუნდებმა. ეს შეჯიბრება გაიმართა სტოკჰოლმში 29 ივნისს.

ამ მატჩისადმი ინტერესი დიდი იყო, სტადიონი ვერ იტევდა ყველა მსურველს. თამაში შვეციის ფეხბურთელთა მძაფრი იერიშებით დაიწყო და მათ პირველ წუთებშივე მიაღწიეს წარმატებას. ბურთი გაიტანა ლინდჰოლმა.

ბრაზილიელებმა კონტრიერიშებით უპასუხეს. მე-9 წუთზე ვავამ გაათანაბრა ანგარიში, ხოლო მალე მანვე მეორე ბურთი გაიტანა მოწინააღმდეგის კარში.

ტაიმი დამთავრდა. ფეხბურთელები დასასვენებლად წავიდნენ. ანგარიში იყო 2 : 1 ბრაზილიის გუნდის სასარგებლოდ.

შეჯიბრების მეორე ნახევარში ბრაზილიელთა ტექნიკური და ტერიტორიული უპირატესობა აშკარა იყო. პელემ და ზაგალომ დამატებით 2 ბურთი გაიტანეს შვეციის გუნდის კარში, ხოლო შემდეგ მოწინააღმდეგეებმა (სიმონსონი, პელე) თითო ბურთით გაზარდეს ანგარიში.

გადამწყვეტი შეჯიბრება დამთავრდა ბრაზილიის ნაკრები გუნდის გამარჯვებით 5 : 2.

წინადღით გეტებორგში შედგა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საფრანგეთის გუნდების შეჯიბრება მესამე საპრიზო ადგილის მოსაპოვებლად. გაიმარჯვეს ფრანგმა ფეხბურთელებმა 6 : 3.

ამრიგად, ბრაზილიის ფეხბურთელთა კოლექტივმა მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის წოდება და მას გადაეცა ჟიულ რიმეს თასი. ფეხბურთელები დაჯილდოებული არიან ოქროს მედლებით. მეორე ადგილი დაიკავა შვეციის გუნდმა, მესამე — საფრანგეთის გუნდმა. შვეციის ფეხბურთელებს გადაეცათ მოოქროვილი ვერცხლის მედლები, საფრანგეთის ფეხბურთელებს — ვერცხლის მედლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### „პოლონია“ — „დინამო“

გუშინ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის „პოლონიასა“ (ქ. ბიტომი) და თბილისის „დინამოს“ გუნდებს შორის.

მატჩის დაწყებამდე მოეწყო ფეხბურთელთა პარადი, სტუმრებს თაიგულები უძღვნეს, შესრულებულ იქნა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

შეჯიბრების პირველი ნახევარი დამთავრდა დინამოელთა სასარგებლოდ 2 : 0. ბურთები გაიტანეს მესხმა და ბარქაიამ.

მეორე ტაიმში მეტწილად წვიმდა. მიუხედავად ამისა ტემპიანი ბრძოლა არ შენელებულა. თბილისელებმა მოწინააღმდეგის კარში დამატებით 4 ბურთი გაიტანეს, თავიანთ კარში 2 ბურთი მიიღეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 6 : 2.

### დამთავრდა მრავალდღიანი ველორბოლა

საკავშირო მრავალდღიანი ველორბოლა დამთავრდა. ამ შეჯიბრების ტრასა გადიოდა ხუთი რესპუბლიკის — ბელორუსიის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთისა და რსფსრ გზატკეცილებზე. საერთო დისტანცია 2.000 კილომეტრს აღემატებოდა.

მოძმე რესპუბლიკების, აგრეთვე მოსკოვისა და ლენინგრადის მოწინავე ველომრბოლელებმა აჩვენეს კარგი შედეგები. ბევრ ეტაპზე საშუალო სისწრაფე საათში 40-41 კილომეტრს შეადგენდა.

ველორბოლის უკანასკნელი, მე-12 ეტაპი კალინინი-მოსკოვი იყო. ფინიშთან პირველი მივიდა მოსკოველი სპორტსმენი ა. პოდიაბლონსკი.

სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება მრავალდღიან ველორბოლაში მოიპოვა ხარკოვის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა ნ. ეჩკენკომ, რომელმაც 2.022 კილომეტრი გაიარა 52 საათში, 33 წუთსა და 47 წამში.

გუნდურ ჩათვლაში ჩემპიონი გახდა რსფსრ ველომრბოლელთა კოლექტივი. მომდევნო 4 ადგილი თანმიმდევრულად დაიკავეს უკრაინის, ლენინგრადის, მოსკოვისა და ბელორუსიის გუნდებმა.

### მოკლედ

საერთაშორისო შეჯიბრება ბლეკპულში ინგლისისა და სსრ კავშირის წყალში მხტომელთა ნაკრებ გუნდებს შორის დამთავრდა საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით.

• • •

ლვოვში დამთავრდა სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობის გათამაშება სროლაში. 10 დღის საინტერესო ბრძოლაში ჩვენი ქვეყნის მსროლელებმა დაამყარეს 16 საკავშირო რეკორდი.

• • •

29 ივნისს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა „ბ“ კლასის მეოთხე ზონის — თბილისის სკვო-სა და მახაჩკალის „ტემპის“ ფეხბურთელთა გუნდების მატჩი. გამარჯვეს თბილისელებმა ანგარიშით 3 : 1.

რედაქტორი პ. რატიანი.

## დ ღ ე ს

### თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — აიდა (მე-6 აბ. მე-9 წარმ. გრ. ჯაჯაჩაძის მონაწილეობით), მარჯანიშვილის სახელობის— მკაცრი ქალიშვილები, ფილარმონიის საზაფხულო — „თორმეტი სკამი“ (ლენინგრადის თოჯინების დიდი თეატრის სპექტაკლი, 9 ს. ).

### კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, ფილარმონიის ბაღი, ისანი (საზამთრო), სპარტაკი, თბილისი, კოლხიდა (საზამთრო), პლეხანოვის სახელობის კლუბი (საზამთრო), გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხულო) — ჩარლი ჩაპლინის კინოკომედიები, ამირანი (საზამთრო)—„1918 წელი“, ამირანი (საზაფხულო), კომკავშირელი, საქართველო (წითელი დარბაზი), ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, კიროვის სახელობის პარკი, კომუნარების ბაღი — შავი ზღვისაკენ, ისანი (საზაფხულო), ვაკის პარკი— სამნი გამოვიდნენ ტყიდან, 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი),— სიმღერა პირველი სიყვარულისა, 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი) მე შევხვდი ქალიშვილს, 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო) — ფანფან ტულპანი, საქართველო (მწვანე დარბაზი) — ტიტანიკის დაღუპვა, საქართველო (საზაფხულო) — ვის უყვარს ცხოვრება, კოლხიდა (საზაფხულო), გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო) — პეპო, ძერჟინსკის სახელობის კლუბი (საზაფხულო), ოფიცერთა სახლი, დიდუბე (საზამთრო), ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი — მზის ჩასვლის წინ, კოლმეურნე ზანგეზური, დიდუბე (საზაფხულო) — კარო, ყაზბეგი — სამი სარკე, სარეწაო კოოპერაციის კულტურის სახლი — წყნარი დონი (III სერია).

საქართველოს სსრ ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველო და თბილისის სამეცნიერო-საკვლევი ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან უფროსი მეცნიერი თანამშრომლის

შალვა ვიქტორის-ძე მოსიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება 1-VII, 7 ს. პლეხანოვის პროსპ. № 150.

## საქართველოს ცეკვის ანსამბლი— იტალიის ქალაქებში

(წერილი იტალიიდან)

საქართველოს ცეკვის დამსახურებული სახელმწიფო ანსამბლი 9 ივნისს სპეციალური ავტობუსით მილანიდან ქალაქ ტურინში გაემგზავრა. მილანს ტურინთან რკინიგზის გარდა საზოგადოება „ფიატის“ პირდაპირი — 150-კილომეტრიანი ავტოსტრადა აერთებს. დღის ორი საათისათვის უკვე ტურინში ვიყავით.

ტურინმა ჩვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა თავისი არქიტექტურითა და თლილი ქვით მოკირწყლული სწორხაზოვანი ქუჩებით. დავათვალიერეთ ტურინის ცნობილი უნივერსიტეტი, ჯერ კიდევ XV საუკუნეში აგებული და რომის იმპერიის ხელოვნების ისტორიის მუზეუმი.

ქალაქს დასავლეთით დაჰყურებს მთა სუპერგა, რომლიდანაც ხელის გულივით იშლება მდინარე პოს ხასხასა ველი, ჩვენი ალაზნის ველივით თვალწარმტაცი.

საქართველოს ცეკვის დამსახურებულმა ანსამბლმა პირველი კონცერტი ტურინში 10 ივნისს ალფიერის დიდ თეატრში გამართა. ტურინელების აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. თითო ცეკვას ოთხჯერ-ხუთჯერ გვამეორებინებდნენ. კონცერტის დამთავრების შემდეგ თორმეტჯერ აიხადა და დაიხურა ფარდა. წინ წამოსული მაყურებლები ორკესტრის გარშემო შემოვლებული ნახევარ რკალისებური მოაჯირის წინ შეგროვდნენ. მოაჯირის ზედაპირი 20-30 სანტიმეტრით თუ იქნებოდა. ჩვენმა მოცეკვავეებმა ერთი კუთხიდან მეორე კუთხემდე ფეხის წვერებით გაიარეს ამ მოაჯირზე. ეს ისე მოულოდნელად და უშუალოდ მოხდა, რომ აღტაცებულმა იტალიელმა მაყურებლებმა თავი ველარ შეიკავეს, ამოდიოდნენ სცენაზე, ხელს გვართმევდნენ, ცოცხალ ყვავილებს გვთავაზობდნენ.

18 ივნისს ქალაქ გენუისაკენ ავიღეთ გეზი. ტურინიდან გენუისაკენ მიმავალი სამანქანო გზა სოფლებსა და პატარა ქალაქებზე გადის. ირგვლივ, როგორც ჩვენში, ყველაფერი მწვანე სამოსელშია ჩამჯდარი.

ქალაქი გენუა გაშენებულია ხმელთაშუა ზღვის ნაპირას. აქვს ძალიან დიდი ნავსადგური. ქალაქის ერთ-ერთ მოედანზე აღმართულია ჯუზეპე გარიბალდის ძეგლი. გენუელები გარიბალდის თავიანთი ქალაქის ყველაზე დიდ მოქალაქეს უწოდებენ.

გენუაში არის ფართო ქუჩებიანი ევროპული ნაწილი და, როგორც აქაურები ეძახიან, ვიწროქუჩებიანი ვენეციური გენუა.

ჩვენი ანსამბლის კონცერტები მიმდინარეობდა ქალაქის ევროპულ ნაწილში, ცენტრალურ პროსპექტზე თეატრ „მარგერიტში“. ყოველ კონცერტს დიდძალი ხალხი ესწრებოდა. ადგილობრივი პრესა ყოველდღე აშუქებდა ჩვენს გამოსვლებს, მაღალ შეფასებას აძლევდა და გულდაწყვეტით აღნიშნავდა, რომ „ქართულ ანსამბლს 15 ივნისს უმთავრდება გენუაში გასტროლები“.

16 ივნისს დილით საქართველოს ცეკვის დამსახურებული ანსამბლი „გენუა-რომის“ ექსპრესით რომში გაემგზავრა. რომში იმავე დღის 6 საათზე ჩავედით და დავბინავდით „ჰოტელ ცეზარე ავგუსტოში“.

პირველი კონცერტი გავმართეთ თეატრ „სისტინაში“.

თუ რას წერდნენ ადგილობრივი გაზეთები და როგორ ხვდებოდა იტალიელი მაყურებელი ჩვენს კონცერტებს, უმჯობესია ამაზე თვით იტალიური გაზეთები ვალაპარაკოთ...

„ალფიერის თეატრში ტაშს უკრავენ „კავკასიურ ბალეტს“.

გეგონებათ, ქართველი მოცეკვავე ქალები ყინულზე ციგურებით სრიალებენო“, ასეთი სათაურით დაბეჭდა გაზეთმა „სტამპა სერამ“ ვრცელი რეცენზია, რომელშიც სხვათა შორის ნათქვამია: „შავგვრემანი, ულვაშიანი, თამამი, შუა ტანის ვაჟები, მუხლებამდე ჩოხებით, ტყავის წაღებითა და ბეწვის ქუდებით. ხოცარი სისწრაფით მოძრაობენ, ბზრიალასავით ხტიან; აგრეთვე შავგვრემანი, ღერმკრთალი ქალები, ძალიან გრძელი ნაწნავებით, კაბებით, ფეხებს რომ უფარავთ; ისინი ნარნარად, თითქმის ქურუმებივით მოძრაობენ, სცენაზე თითქოს სრიალებენ განსაცვიფრებელი ნაბიჯით, რომელიც სპექტაკლში ყველაზე მეტ გაოცებას იწვევდა. ესენი არიან კავკასიის ბალეტის მოცეკვავენი, რომლებიც გუშინ საღამოს გამოვიდნენ ალფიერის თეატრში მართლაც არაჩვეულებრივი წარმატებით.




ეს ანსამბლი საქართველოდან ჩამოვიდა და ამ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ანსამბლს წარმოადგენს. სპექტაკლი ვრცელი მიმოხილვაა კავკასიური ფოლკლორისა, რომელიც გამოხატულია თითქმის მხოლოდ და მხოლოდ ცეკვის საშუალებით. ერთი დაირა, ერთი გარმონი, წყვილი სტვირი (ან რაღაც ამგვარი) აკომპანემენტს უწევს მოცეკვავეებს მრავალ და სხვადასხვანაირ სცენებში.

ძნელი სათქმელია, რა უფრო მოეწონა საზოგადოებას გუშინ საღამოს: რა თქმა უნდა, მან უპირატესობა მისცა მკვირცხლ ცეკვას ხმლებით და აკრობატულ ცეკვას ცერებზე, მაგრამ ქალთა ზოგიერთმა ცეკვამ, ისეთმა, როგორიც არის თბილისელ ქალიშვილთა ცეკვა, ნამდვილი აღტაცება გამოიწვია სინარნარითა და სიმსუბუქით, როგორითაც მოძრაობდნენ მოცეკვავენი, თითქოს სრიალებდნენ სცენის ერთ ფიცარზე როგორც ყინულზე ციგურებით. იყო იქ მხიარული ჩართული სცენებიც, თითქმის ბუფონადური, როგორიც არის, მაგალითად, ბურთაობის დიდი სცენა (ლელო), რომელიც ფერადოვანი გაფორმებით აღადგენს ძველი ხალხური გასართობის ფაზებს. ადგილი არ გვეყოფა, რომ თუნდაც უბრალოდ ჩამოვთვალოთ ყველა ნომერი. მაგრამ საჭიროა რაიმე ითქვას შესანიშნავ კოსტიუმებზე, რომელთა ფერები (განსაკუთრებით ვაჟთა შავი ტანსაცმლისა და ქალთა თეთრი კაბების კონტრასტი) ხშირად მთავარ ნოტას წარმოადგენს. ჩვენ უკვე ხაზგასმით აღვნიშნეთ წარმატება: ტაში თითქმის თავიდანვე გაისმა, დასაწყისი სცენის დროსაც კი, და თანდათან იზრდებოდა ოვაციის ხასიათს გამეორების მოთხოვნით. სასიამოვნო საღამო და მაღალი კლასის სპექტაკლია“.

„გუშინ საღამოს ალფიერის თეატრში გამართულ ქართული ბალეტის სპექტაკლს უდიდესი წარმატება ხვდა. — აღნიშნავს გაზეთი „ლა ნუოვა სტამპა“. ეს წარმატება იმდენად გულმხურვალე და ბრწყინვალე იყო, რომ დროდადრო ის ენთუზიაზმის უმაღლეს მწვერვალს აღწევდა: დაუცხრომელი ტაში, ბისზე გამოძახება, ოვაციები და სხვ. ტურინში ბალეტს ასეთი ერთსულოვანი მოწონებით და აღფრთოვანებით იშვიათად შეხვედრიან.

ცნობილია, რომ ცეკვების თანამედროვე ისტორიაში საბჭოთა ბალეტს ერთ-ერთი თვალსაჩინო და საინტერესო ადგილი უჭირავს. საბჭოთა ბალეტის რთულ ჩარჩოებში ფოლკლორულმა ელემენტებმა მკვეთრად იჩინა თავი, რამაც მასში შესანიშნავი ფერები და სურნელება შეიტანა. საბჭოთა კავშირის ყველა ხალხს აქვს თავისი უძველესი მუსიკის, ცეკვის და ცერემონიების მემკვიდრეობა, რომლებსაც ქორეოგრაფიაში იყენებენ, და როდესაც მაორგანიზებელი ხელმძღვანელობა სრულყოფს ამ უძვირფასეს ელემენტებს, შედეგი ყოველთვის უაღრესად შთამაგონებელია. ამის საუკეთესო და ნათელი მაგალითია ქართული ბალეტი.

თვალწარმტაცია ქალიშვილთა ცეკვა: ნაზი, ვარდისფერ გრძელკაბიანი ქალები მანდილებს ნაზად მოაფრიალებენ. მათ ფეხთა მოძრაობას თვალი ვერ ამჩნევს და ამიტომ საოცარი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მსახიობები ყინულზე მოცურავენ, ან იატაკს რამდენიმე სანტიმეტრით დაშორებულნი ფრინავენ ჰაერში“.

გაზეთი „ილ სეკოლო XIX“ 14 ივნისის ნომერში წერდა: „თვალის ერთი გადავლება კავკასიისათვის. მუსიკის, მიმიკური წარმოდგენების, ფოლკლორის საუკუნეები. არაჩვეულებრივად ორიგინალური ძალა, რომელიც ტრადიციებით არის გამსჭვალული და მოტივების განუწყვეტლობით აკავშირებს ერთმანეთთან მხედრულ შემართებას უწყინარ თამაშთან, ბრძოლის სიმძაფრეს სიყვარულის ხიბლთან, მწყობრსა და მამხილებელს, ირონიულსა და დახვეწილს.

კავკასიურ ცეკვებს, რომლებიც ამ პროფილს მისდევენ და რომლებსაც საქართველოს სსრ სახელმწიფო ანსამბლი ასრულებს, ენთუზიაზმის გამომწვევი ძალა აქვთ. ისინი სრულდება ეროვნული ორკესტრის თანხლებით, რომელიც შედგება თავისებური ქართული გარმონისაგან, დუდუკისა და დოლისაგან. ძველი ქართული სიმღერების ხშირი შესრულება ამდიდრებს ეროვნული ცეკვის მუსიკას. ამ მხარის ფოლკლორი ისე მდიდარია, რომ ანსამბლმა შეძლო შეექმნა უაღრესად გონიერი და სხვადასხვაგვარი ნომრებით სავსე მთელი სპექტაკლი. ანსამბლში არიან დიდი ხელოვნების მოცეკვავეები, მაგალითად, ნინო რამიშვილი (რომელიც ილიკო სუხიშვილთან ერთად ბალეტის მხატვრული ხელმძღვანელია), ზურაბ ქველიძე, ომარ მხეიძე, თამაზ კიკალეიშვილი, და უნაზესი ტემბრის, დახვეწილი რიტმის მოცეკვავეები, როგორიც არიან, მაგალითად, მარინე მხეიძე, ელიკო წერეთელი, გულნარა ნიკოლოზიშვილი, ლეილა დუმბაძე.

სპექტაკლი დაფუძნებულია მამაკაცთა ვაჟკაცობასა და ქალთა გრაციაზე. პირველი აღსავსეა მძაფრი ატლეტური მგზნებარებით, ფეხების საოცარი მოძრაობით, ხმლების ელვისებური შერკინებით, საოცარი ნახტომებით, რიტმის უდიდესი სისწრაფით; მეორე, პირიქით, მთლად ჰაეროვნებაა, სინაზეა. ცეკვა ხორციელდება უმთავრესად მოკლე ნაბიჯებით და აღმოსავლური მოძრაობით“..

ა. ყიფიანი,
საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

## ქართველი მოცეკვავეები პრაღისაკენ გაემგზავრნენ

რომი. (ტელეფონით). გუშინ დილით ჩვენი გაზეთის თანამშრომელი რომის სასტუმრო „რომანოში“ ტელეფონით დაუკავშირდა საქართველოს ცეკვის დამსახურებული სახელმწიფო ანსამბლის ხელმძღვანელს, რომელმაც განაცხადა:

— ერთი საათის შემდეგ ჩვენ ვტოვებთ იტალიის დედაქალაქ რომს და ვენეციისაკენ მივემგზავრებით, თუმცა იქ კონცერტებს არ გავმართავთ. საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულმა ანსამბლმა იტალიაში სულ 34 კონცერტი გამართა. რომში პირველად 18 ივნისს თეატრ „სისტინაში“ გამოვედით. პირველ კონცერტს საბჭოთა საელჩოს მოწვევით ბევრი ქვეყნის დიპლომატიური კორპუსების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. წარმოდგენა გულთბილად მიიღეს მაყურებლებმა, თითქმის ყველა ნომერს გვამეორებინებდნენ. საღამოს დასასრულს საბჭოთა კავშირის ელჩმა ანსამბლის ყველა წევრს და მის ხელმძღვანელებს სტალინური პრემიის ლაურეატებს საქართველოს სახალხო არტისტს ნინო რამიშვილსა და სსრ კავშირის სახალხო არტისტს ილიკო სუხიშვილს მიულოცა დიდი წარმატება და უსურვა ახალი შემოქმედებითი მიღწევები.

იტალიაში ჩვენი გასტროლები 29 ივნისს დამთავრდა. 2 ივლისს ვენეციიდან ვენის გავლით საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი ჩეხოსლოვაკიის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქ პრაღისაკენ გაემგზავრება, სადაც 5 ივლისს გამართავს პირველ კონცერტს.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პრესის მიმოხილვის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, საილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-81-65.

უე 03907 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14. 2